პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

№ 65 (5465) | სამშაბათი, 21 მარტი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

## საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილება

### ამხ. ჟდანოვის მიერ საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად)

1. ამხ. ჟდანოვის თეზისები საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო მიღებულ იქნას საფუძვლად.

2. თეზისების შესწორებათა და დამატებათა განსახილველად და საკ. კ. პ. (ბ) წესდების ტექსტში ცვლილებათა შესატანად არჩეულ იქნას ყრილობის კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ა. ა. ჟდანოვი (თავმჯდომარე), ა. ა. ანდრეევი, ვ. მ. ანდრიანოვი, მ. ა. ბაგიროვი, ნ. ა. ბირიუკოვი, ვ. ი. ბოიცოვი (ორიოლი), ი. პ. ბოიცოვი, ვ. ს. ბულატოვი (ყირიმი), მ. ა. ბურმისტენკო, ა. გ. ვიშნიჩენკო, კ. ე. ვოროშილოვი, ბ. ა. დვინსკი, მ. ი. ჯაში, ვ. ა. დონსკოი, ა. ა. დუბროვსკი, რ. ს. ზემლიაჩკა, ს. დ. იგნატიევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ა. კუზნეცოვი (ლენინგრადი), ი. ა. კუზნეცოვი, პ. მ. [illegible], გ. მ. მალენკოვი, ა. პ. მატვეევი (ბელორუსია), ლ. ზ. მეხლისი, ა. ი. მიქოიანი, მ. ბ. მიტინი, ნ. ა. მიხაილოვი, ო. პ. მიშაკოვა, ვ. მ. მოლოტოვი, ი. ვ. მურუგოვი, ი. პ. ნადეჟინი, ვ. დ. ნიკიტინა, ა. ლ. [illegible], ნ. ს. პატოლიჩევი, ა. გ. პოდუშკო, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ი. როდიონოვი, ი. კ. სედინი, პ. ი. სელეზნიოვი, ზ. ტ. სერდიუკი, ნ. ა. სკვორცოვი, მ. ს. სპივაკი, ი. ბ. სტალინი, ი. ა. ხომენკო, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ფ. ჩეპლაკოვი, ბ. ნ. ჩერნოუსოვი, ა. ს. ჩუიანოვი, მ. ა. შამბერგი, ა. ი. შახურინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ფ. შკირიატოვი, ტ. ფ. შტიკოვი, ა. ს. შჩერბაკოვი, მ. იულდაშევი, ემ. იაროსლავსკი.

# საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

## ამხ. ვ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, ყრილობაზე ჩატარებულმა კამათმა დაგვანახვა, რომ თეზისებს მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დელეგატები სავსებით მხარს უჭერენ. **(ტაში).**

ზოგიერთ საკითხზე, რომელიც აქ გამოსულმა ამხანაგებმა დასვეს, ცალკე შევჩერდები. საბოლოო სიტყვაში მე მინდა შევავსო ჩემ მიერ მოხსენებაში დაშვებული ხარვეზი. ამისთვის მე უნდა შევჩერდე წინასაყრილობო დისკუსიაზე, მის ხასიათსა და შედეგებზე.

ყრილობის წინ, როგორც იცით, თეზისები მეტად აქტიურად იქნა განხილული პრესაში, პარტიულ კრებებზე, ფართო მასებში. ეს მაღალი აქტივობა წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში არსებული იმ პოლიტიკური აღმავლობის გამოხატულებას, რომელიც შექმნილია ჩვენი პარტიის მთელი მუშაობით, მისი წარმატებებით პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ დარგში. „პრავდის" სადისკუსიო ფურცელს რამდენიმე ათასი წერილი მოუვიდა მესამე ხუთწლიანი გეგმის საკითხებზე. ამ წერილების საკმაო დიდი ნაწილი გამოქვეყნდა სადისკუსიო ფურცელში. გარდა ამისა, მესამე ხუთწლედის საკითხებზე მრავალი სტატია იბეჭდებოდა სხვა ორგანოებში როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ პრესაშიც.

წინასაყრილობო დისკუსიაში გამოირკვა, რომ თეზისებს მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სავსებით უჭერენ მხარს პარტიული ორგანიზაციები და ფართო მასები. ყველა პარტიულმა კონფერენციამ, რომლებიც წინ უსწრებდნენ ყრილობას, მოიწონეს თეზისები. ამასთანავე, ამ დისკუსიაში აღძრულ იქნა მრავალი სხვადასხვაგვარი ხასიათის საკითხი, შემოტანილ იქნა საკმაოდ ბევრი დამატება და კონკრეტული შესწორება თეზისებისათვის. ამ წინადადებებში ბევრი რამ არის სწორი, სასარგებლო. უნდა ითქვას, რომ ამ წინადადებათა უმრავლესობის შეტანა თეზისებში გამოიწვევდა იმას, რომ თეზისები უაღრესად, უზომოდ გაიბერებოდა და მაშინ მთავარი საკითხები დაიჩრდილებოდა. ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება. მაგრამ, მეორე მხრით, წინასაყრილობო დისკუსიის დროს შემოტანილ იქნა საკმაოდ ბევრი ისეთი შენიშვნა, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნას ხუთწლედის გეგმაში.

თეზისები—ეს ჯერ კიდევ არ არის გეგმა. თეზისები იძლევიან მხოლოდ გეგმის საფუძველს. თვითონ გეგმა მეტად ვრცელი დოკუმენტია. მესამე ხუთწლიანი გეგმა შესდგება რამდენიმე ტომი ციფრებიანი ცხრილებისაგან. ამ გეგმაში გაშუქებულია ბევრი მეტად სხვადასხვაგვარი საკითხი, რომელთა საბოლოოდ მიღებისა და ფორმულირების დროს ფრიად მნიშვნელოვანი და საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის წინადადებანი და შესწორებანი, რომლებიც შემოტანილ იქნა წინასაყრილობო დისკუსიის დროს.

იმ პარტიული და არაპარტიული ამხანაგების დიდი აქტივობა, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ წინასაყრილობო დისკუსიაში, დიდ დადებითს როლს შეასრულებს მესამე ხუთწლედის საბოლოო გეგმის შემუშავებაში, ხოლო ზოგიერთი აქ წინადადებათაგანი ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ თვით თეზისების საბოლოო ფორმულირების დროს.

ყრილობას, თუ იგი საფუძვლად მიიღებს წარმოდგენილ თეზისებს, ალბათ, მოუხდება კომისიის არჩევა, რომელიც განიხილავს, თუ რა შესწორება და დამატება უნდა იქნას შეტანილი თეზისებში. გარდა ამისა, ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს მოუხდებათ მთელ რიგ აღნიშნულ წინადადებათა და შესწორებათა მხედველობაში მიღება, როცა ისინი საბოლოოდ დაამტკიცებენ თვით ხუთწლიან გეგმას სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, ცალკეული მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით.

წინასაყრილობო დისკუსიის დროს და თვით ჩვენს ყრილობაზე დასმული საკითხები შეიძლება დავყოთ ასეთ ჯგუფებად:

ჯერ-ერთი, ორგანიზაციული ხასიათის საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან გეგმის შესრულების უზრუნველყოფასთან;

მეორეც, ზოგიერთი დიდი სამეურნეო პრობლემა;

მესამეც, საკითხები, რომელნიც შეეხებიან სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს;

მეოთხეც, უფრო ზოგადი, პრინციპული ხასიათის საკითხები.

ბოლშევიკებმა მშვენივრად იციან **ორგანიზაციული საკითხების** მნიშვნელობა სამეურნეო საქმეების გადაჭრისათვის. ამიტომ, გასაგებია, რომ მესამე ხუთწლედის გეგმის განხილვის დროს ორგანიზაციულ საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო. წინასაყრილობო დისკუსიაში დაისვა მთელი რიგი დიდი ორგანიზაციული საკითხები, მათ შორის მთელი რიგი საკითხი ახალი სახალხო კომისარიატებისა და სახკომსაბჭოსთან კომიტეტების შექმნის შესახებ. იყო, მაგალითად, დასმული მშენებლობის სახალხო კომისარიატის შექმნის საკითხი, იყო აგრეთვე დასმული საკითხი მიწსახკომიდან ცალკე სახალხო კომისარიატის—მტს-ების მმართველობის სპეციალური სახალხო კომისარიატის გამოყოფის შესახებ; იყო აგრეთვე დასმული საკითხი საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ორ სახალხო კომისარიატად — მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა საბჭოთა მეურნეობების კომისარიატებად გაყოფის შესახებ, საავტომობილო მეურნეობის ან ავტოსაგზაო საქმის ახალი სახალხო კომისარიატის გამოყოფის შესახებ და ასე შემდეგ. მთელი რიგი ამგვარი საკითხები სერიოზული ყურადღების ღირსია და შეიძლება გადაიჭრას დამატებითი სათანადო დამუშავების შემდეგ.

ამ წინადადებებს შორის იყო აგრეთვე ისეთები, როგორიც წინადადება მეცხენეობის სპეციალური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება მიზანშეუწონელია. მაგრამ, მეორე მხრივ, დიდი ყურადღების ღირსია ამხანაგი ბუდიონის წინადადება იმის შესახებ, რომ მიწსახკომს და სამიწათმოქმედო ორგანოებს ჰყავდეთ სახალხო კომისრისა და სამხარეო მიწგანის უფროსის განსაკუთრებული მოადგილე მეცხენეობის საკითხებში. მეცხენეობის გაუმჯობესების საქმეს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მთელი რიგი ახალი ორგანიზაციული ზომების გარეშე აქ საქმეს ვერ მოვაგვარებთ.

წინასაყრილობო დისკუსიაში, და აქაც ყრილობაზე, დაისვა აგრეთვე საკითხი სახალხო კომისარიატთა მიმდინარე მუშაობის უფრო სწორი და უფრო მტკიცე ურთიერთშეთანხმების შესახებ. სამრეწველო სახალხო კომისარიატთა დაწვრილერთეულებასთან დაკავშირებით ეს მეტად აქტუალური საკითხია. ყრილობაზე გამოსულმა მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარმა ამხანაგმა მალიშევმა სწორად აღნიშნა, რომ ეკონომიური საბჭოც და სახელმწიფო საგეგმო კომისიაც ანგარიშს უნდა უწევდნენ იმას, რომ საჭიროა სამეურნეო სახალხო კომისარიატთა მუშაობის უფრო მტკიცე ურთიერთშეთანხმება, ვიდრე ამას ადგილი აქვს ამჟამად. ამაზევე სწორად მიუთითებდა თავის გამოსვლაში აგრეთვე ამხანაგი მ. მ. კაგანოვიჩი. უფრო სპეციალიზებული სამრეწველო სახალხო კომისარიატების შექმნა მათ აახლოებს საწარმოებთან და ამას დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, მეორე მხრივ, ახლა აღიძვრის ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც არ შეიძლება გადაიჭრას მარტო ერთი სახალხო კომისარიატის წიაღში. ამასთან დაკავშირებით, უთუოდ, საჭიროა, რომ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ეკონომიურმა საბჭომ გააძლიეროს თავისი აპარატი და გაცილებით უფრო მეტი აქტივობა გამოიჩინოს სახალხო კომისარიატთა მუშაობის შეთანხმების საქმეში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით სახალხო კომისარიატები არ უნდა ცდილობდნენ თავისი მუშაობა შეათანხმონ სხვა სახალხო კომისარიატთა მუშაობასთან. ისინი მოვალენი არიან ეს გააკეთონ და ვიწრო - უწყებრივი ინტერესებით არ გაემიჯნონ ერთმანეთს. ასეთ ვიწრო-უწყებრიობას ჩვენში ხშირად შევხვდებით, მაგრამ მუშაობაში ვიწრო-უწყებრივ სულისკვეთებას საჭიროა ენერგიულად ვებრძოლოთ, როგორც ბიუროკრატიზმის გამოვლინებას. ამავე დროს, სამეურნეო სახალხო კომისარიატთა რაოდენობის მნიშვნელოვანად გადიდება მოასწავებს სახალხო მეურნეობის მართვა - გამგეობის სტრუქტურის აუცილებელ გართულებას ზევით და მოითხოვს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ეკონომიური საბჭოს აპარატის შესაბამისად გაძლიერებას. აქედან უნდა გავაკეთოთ სათანადო პრაქტიკული დასკვნები.

**ცალკეული სამეურნეო პრობლემებიდან** შევჩერდები შემდეგზე: შორეულ-აღმოსავლეთში დასახლება, კურსკის მაგნიტური ანომალია, ვოლგა-დონის არხი, ნავთი ბაშკირეთში.

თქვენ იცით, რომ შორეული-აღმოსავლეთის სამეურნეო საკითხები ჩვენ ძლიერ წამოვწიეთ წინ. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა მიეცა შორეულ-აღმოსავლეთში დასახლების ორგანიზაციის ამოცანებს. ამხანაგმა დონსკოიმ სწორად დასვა წინასაყრილობო სტატიაში ეს საკითხი, როგორც დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემა. მართლაც საჭიროა, რომ შორეული-აღმოსავლეთის ორივე მხარემ ამ საკითხს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი და ადგილობრივად შეჰქმნას სათანადო დიდი სადასახლებო ორგანიზაციები. დროა ამ საქმეში სიტყვიდან საქმეზე, ზოგად წინადადებებიდან კონკრეტულ პროექტებსა და გადაწყვეტილებებზე გადავიდეთ.

დისკუსიაში მესამე ხუთწლედის შესახებ სერიოზულად არის დასმული კურსკის მაგნიტური ანომალიისა და კურსკის რაიონში სამრეწველო მეტალურგიული ბაზის შექმნის საკითხი. მავნებლებმა ცოტა როდი გააკეთეს იმისთვის, რომ შეეფერხებინათ ეს საქმე. დროა ბოლო მოვუღოთ მავნებლობის ამ შედეგებსაც, შევუდგეთ რკინის მადნის სერიოზულად დამუშავებას და მეტალურგიული ბაზის შექმნას კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში. ამ საქმეს დიდი პერსპექტივები აქვს სსრ კავშირში მეტალურგიის განვითარების ამოცანასთან დაკავშირებით. ყრილობაზე გამოსული ამხანაგი დორონინი მართალი იყო, როცა მოითხოვდა ამ საქმისათვის სერიოზული ყურადღების მიქცევას მესამე ხუთწლედში. საჭიროა ეს თეზისებშიც ითქვას.

ყრილობაზე დაისვა ვოლგა-დონის არხის მშენებლობის საკითხი. ესეც ერთერთი დიდი სამეურნეო პრობლემაა, რომლის გადაჭრას ჩვენ უნდა შევუდგეთ მესამე ხუთწლედში. ვოლგა-დონის პრობლემის გადაჭრა შეფერხდა იმის გამო, რომ თავის დროზე ამ პრობლემას თან აეკიდა მთელი რიგი სხვა პრობლემები, მაგალითად, გიგანტური ჰიდროსადგურების აგება. ამჟამად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მთავრდება ამ საკითხის დამუშავება და მალე ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკითხის კონკრეტულად განხილვას. აქ გამოსულმა ამხანაგმა დვინსკიმ დროულად დააყენა ეს საკითხი ისე, როგორც დროულია მისი წინადადება ქვანახშირის ამოღების გადიდების შესახებ როსტოვის ოლქში, სადაც ქვანახშირის ბუდობი ფრიად მნიშვნელოვანია.

საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე ურალისპირა რაიონის ნავთის მრეწველობის საკითხზე. ამხანაგი შაგიმარდანოვი ბაშკირეთიდან სავსებით მართალი იყო, როცა მოითხოვდა, გავაძლიეროთ ყურადღება ბაშკირეთის ნავთის მრეწველობისადმი. ჯერ კიდევ პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა იმის შესახებ, რომ საჭიროა „სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ნავთის ბაზის ორგანიზაციას ურალის ქედის დასავლეთ და სამხრეთ ფერდობთა რაიონებში". პირველ რიგში ეს ეხებოდა ბაშკირეთის რაიონებს.

თუ როგორ ვითარდებოდა სინამდვილეში ნავთის ამოღების საქმე ამ რაიონში სჩანს შემდეგიდან. პირველი სამრეწველო ნავთი ბაშკირეთში გაჩნდა 1934 წელს, როდესაც ამოღებულ იქნა დაახლოებით 63 ათასი ტონა. ამ რაიონის ნავთის სიუხვეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკვე მომდევნო წელს, 1935 წელს, ამოღებულ იქნა 406 ათასი ტონა, ესე-იგი ნავთის ამოღება ერთი წლის განმავლობაში გადიდდა ექვსჯერ და კიდევ მეტად. 1936 წელს ნავთის ამოღებამ აქ მიაღწია 968 ათას ტონას, ესე-იგი ერთი წლის განმავლობაში გადიდდა კიდევ თითქმის ორნახევარჯერ. მაგრამ უკვე 1937 წელს ნავთის ამოღება აღარ მატულობს, ამოღებულ იქნა სულ 957 ათასი ტონა ნავთი, ხოლო 1938 წელს—1.145 ათასი ტონა, ესე-იგი ნავთის ამოღების მატება მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ ყოფილა. დაუპირისპირეთ ეს ფაქტები ბაშკირეთის ნავთის ტრესტის ხაზით კაპიტალდაბანდებათა შესახებ ქვემოთმოყვანილ ცნობებს. კაპიტალური დანახარჯი ამ ტრესტის ხაზით იყო შემდეგი: 1935 წელს—45 მილიონი, 1936 წელს — 59 მილიონი, 1937 წელს—49 მილიონი, 1938 წელს—45 მილიონი. ეს იმას ჰმოწმობს, რომ კაპიტალდაბანდებანი ასეთ მსხვილ სამრეწველო საქმეში უმნიშვნელოა. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კაპიტალდაბანდებათა გადიდების ნაცვლად ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოხდა კაპიტალდაბანდებათა შემცირება, და ეს მიუხედავად იმისა, რომ პარტია მიუთითებდა ამ ნავთიანი რაიონის დიდს სახალხო სამეურნეო მნიშვნელობაზე.

ყოველივე ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ დიდი დაუდევრობა ჩვენი მეურნეობის დაგეგმვის საქმეში. რომ ამ შემთხვევაში მეტი სერიოზული ყურადღება მიგვექცია ნავთის ამოღების განვითარების გეგმებისათვის, მაშინ კაპიტალდაბანდებათა გეგმაც სხვაგვარი იქნებოდა—იგი უფრო დიდი იქნებოდა. მავნებლები, რომელთა ანტისაბჭოთა ხელი ამ საქმეშიც ერია, დაგვიანებით იქნენ მხილებულნი და სახელმწიფოს ზიანი მიადგა იმით, რომ ბაშკირეთში ნავთის ამოღების განვითარების საქმე ყოველ შემთხვევაში ორი წლით შეფერხდა. დეე ეს გამოგვადგეს კიდევ ერთ გაკვეთილად იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ მრეწველობის განვითარების დაგეგმვა და არ დავუშვათ დაბრკოლებათა შექმნა სახალხო მეურნეობის ასეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში.

გადავდივარ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებზე. დავიწყებ **მრეწველობით.**

წინასაყრილობო დისკუსიის დროს, და აქაც ყრილობაზე, ხაზგასმით იყო აღნიშნული მრეწველობის ზოგი დარგის რამდენიმედ მეტი განვითარების საჭიროება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია თეზისებით. ასეთ დარგებს ეკუთვნის, მაგალითად, ქაღალდისა და ცემენტის მრეწველობა. მართლაც, ქაღალდის მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ ჩვენ კიდევ უნდა განვიხილოთ ქაღალდის მრეწველობის განვითარების გეგმის გადიდების შესაძლებლობა მესამე ხუთწლედში. ეს ეხება აგრეთვე ცემენტის წარმოებასაც. მესამე ხუთწლედით გათვალისწინებულია მშენებლობის ისეთი ზრდა, რომ ჩვენ კიდევ უნდა განვიხილოთ საკითხი ცემენტის მრეწველობის პროგრამის გადიდების შესაძლებლობის შესახებაც.

ყველაზე მეტი ყურადღება ყრილობის წინაც და ყრილობაზედაც ეთმობოდა სათბობის საკითხებს, და ეს სავსებით გასაგებია. მთელს სახალხო მეურნეობაში უკვე ძლიერ იჩინა თავი სათბობის ახლანდელი მოპოვების ოდენობის უკმარობამ, ქვანახშირის უკმარობამ ნავთის უკმარობამ და აგრეთვე იმან, რომ არასაკმაო ყურადღება ეთმობოდა ისეთი სახის სათბობს როგორიცაა ტორფი, ფიქალი, საპროპელიტი. ყველა ამ საკითხს მესამე ხუთწლედში აუცილებელია მიექცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება. მოხსენებაში თქმულს ცოტასღა დავუმატებ.

თქვენ იცით, რომ ჩვენ ვისახავთ მრეწველობის დიდ განვითარებას ვოლგის რაიონში, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მრეწველობის განვითარება აქ ბრკოლდებოდა სათბობის უკმარობით. ამხანაგმა სტალინმა სპეციალურად მიაქცია ყურადღება იმის აუცილებლობას, რათა მიღებულ იქნას ზომები ვოლგასთან ახლომდებარე რაიონებში ქვანახშირის მოსაპოვებლად. სათბობის სახალხო კომისარიატმა დაიწყო ამ საქმეზე მუშაობა და ამას წინათ შემოიტანა წინადადება ჩკალოვის ოლქის დომბაროვკის საბადოებში ქვანახშირის ამოღების განვითარების შესახებ. ამხანაგმა კაგანოვიჩმა შეიმუშავა სათანადო წინადადებანი და ამ დღეებში ისინი დაამტკიცა ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ. ამ გადაწყვეტილებაში სათბობის მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაკისრებული აქვს შემდეგი ამოცანები: დომბაროვკის საბადოში 1939 წელს დაიწყოს 10 შახტის შენება, 1 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრისა, იმ ანგარიშით, რომ 6 შახტი დამთავრებულ იქნას და საექსპლოატაციოდ გადაეცეს უკვე მიმდინარე წელს; გარდა ამისა, პოლტავა-ბრედინსკის და ბოროდინოვსკის რაიონებში გადაწყვეტილია მიმდინარე წელს მოეწყოს 4 შახტი—400 ათასი ტონის საერთო სიმძლავრისა; ბერჩოგურის საბადოში გადაწყვეტილია მიმდინარე წელს მოეწყოს 3 შახტი—300 ათასი ტონის საერთო სიმძლავრისა. ყველა ამ რაიონში ახალი შახტების სიმძლავრემ 1942 წლის დამლევისათვის უნდა შეადგინოს 7.700 ათასი ტონა. ეს შეჰქმნის სერიოზულ ბაზას იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სათბობით მომარაგება ორსკის სამრეწველო რაიონისა და ვოლგისპირა ოლქებისა, აგრეთვე სათანადო რკინიგზებისა, რომლებიც ამჟამად იკვებებიან შორიდან მოზიდული კუზნეცკისა და დონეცის ქვანახშირით.

ეს მხოლოდ ერთერთი მაგალითია იმისა, თუ რამდენად დაჟინებულად უნდა მივუდგეთ იმ ამოცანის გადაწყვეტას, რომ უზრუნველვყოთ ყველა ეკონომიური რაიონი ადგილობრივ ნაწარმოები სათბობით. საჭიროა ყველა ძირითად ეკონომიურ რაიონში მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სათბობის წარმოება ადგილობრივ, იმისათვის, რომ სავსებით გავათავისუფლოთ ტრანსპორტი შორეული რაიონებიდან ნახშირის მოზიდვისაგან

საჭიროა აგრეთვე ბოლო მოვუღოთ ერთერთ გადანაშთს ქალაქებისათვის სათბობის მიწოდებაში. დღემდე მოსკოვი, ლენინგრადი და სხვა დიდი ქალაქები შეშით მარაგდებიან საგრძნობწილად რკინიგზების საშუალებით. დიდ ქალაქებში სამრეწველო წარმოების ახლანდელი ოდენობის პირობებში სრულიად დაუშვებელია რკინიგზების დატვირთვა შორეული რაიონებიდან შეშის დიდი გადაზიდვით. აქ გამოსული ამხანაგი ბოგდანოვი სავსებით მართალი იყო, როდესაც მოითხოვდა ისეთ უმსგავსობის შეწყვეტას, როგორიცაა ლენინგრადში შეშის რკინიგზით მოზიდვა ისეთი რაიონებიდან, რომლებიც ლენინგრადიდან ათას კილომეტრზე და მეტ მანძილზე მდებარეობენ. ასეთ მდგომარეობას არ შეიძლება შევურიგდეთ. ეს შეუწყნარებელი გადანაშთია იმ დროისა, როდესაც ამ გადაზიდვათა მასშტაბები გაცილებით უფრო ნაკლები იყო. დიდ ქალაქებში გაზიფიკაციაზე ფართოდ გადასვლა შესაძლებლობას მოგვცემს განვითავისუფლოთ თავი ისეთი ეკონომიურად გაუმართლებელი რამეებისაგან, როგორიც არის რკინიგზებით შეშის გადაზიდვა დიდ მანძილებზე. რაც მალე გავაკეთებთ ამას, მით უკეთესი იქნება.

გადავდივარ **ელექტრომეურნეობის** საკითხზე. ამ საქმეს ყრილობაზედაც და წინასაყრილობო დისკუსიაშიც უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ის ძალიან მწვავედ დადგა იმის გამო, რომ ელექტროენერგიაზე მოთხოვნილებამ ძლიერ გაუსწრო ელექტროსადგურების სიმძლავრეთა იმ ზრდას, რაც ჩვენ გვქონდა. საჭიროა სწრაფად განვავითაროთ საშუალო და მცირე ელექტროსადგურების მშენებლობა და, გარდა ამისა, სრული მსვლელობა მივცეთ წვრილი ელექტროსადგურების, კერძოდ წვრილი ჰიდროსადგურების მშენებლობას. ამასთან სავსებით სწორად მიუთითებენ იმაზე, რომ ამ ელექტროსადგურების მშენებლობა მოითხოვს ტურბინების, განსაკუთრებით წვრილი ჰიდროტურბინების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას. ჩვენ ვალდებული ვართ საკმაოდ გავითვალისწინოთ ეს საჭიროებანი მესამე ხუთწლედის გეგმაში.

მესამე ხუთწლედის გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კუიბიშევის ჰიდროსადგურის მშენებლობას. ეს მშენებლობა უკვე ფართოდ გაიშალა. მესამე ხუთწლედის გეგმაში საჭიროა გავითვალისწინოთ იმ ელექტროენერგიის მომავალი უდიდესი რაოდენობის სწორად გამოყენება, რომელსაც კუიბიშევის ჰიდროსადგურებისაგან მივიღებთ. საჭიროა გავითვალისწინოთ სამრეწველო საწარმოების სათანადო მშენებლობა, სარწყავი სისტემის მშენებლობა, ელექტროენერგიით ქალაქების მომარაგება.

ამ გიგანტურ ჰიდრომშენებლობასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკლები მასშტაბის ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობას. ამას წინათ ამხანაგმა სტალინმა სპეციალურად დააყენა ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. პერვუხინის წინაშე საკითხი დონბასში და ურალზე მთელი რიგი ჰიდროსადგურების მშენებლობის შესახებ. დონბასს უაღრესად ესაჭიროება დამატებითი ელექტროენერგია. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ამ მიზნისათვის მდინარე დონეცი, რომელზედაც ავაგოთ ერთი ან ორი ჰიდროსადგური არა გიგანტური მასშტაბისა, მაგრამ ისეთები, რომლებიც შესძლებენ საკმაოდ ბევრი ელექტროენერგია მოგვცენ? ელექტროენერგია არ ყოფნით სვერდლოვსკსა და ჩელიაბინსკში. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ მდინარეები ისეტი, ჩუსოვაია, მიასი, და აქაც ავაგოთ ჰიდროსადგურები? ამით მნიშვნელოვანი დახმარება გაეწეოდა ურალს ელექტრომომარაგებაში. ამგვარი დავალებანი ასახულ უნდა იქნან მესამე ხუთწლიან გეგმაში.

**მანქანათმშენებლობის** საკითხზე. ამ საკითხებს არ შეიძლება უაღრესად სერიოზული ყურადღება არ მიექცეს. ჩვენ მივდივართ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოწინავე ტექნიკის შემდგომი და სულ უფრო-და-უფრო ფართო დანერგვის ხაზით. ტექნიკის შემდგომი დიდი ზრდის გარეშე, ტექნიკური დონის მუდმივი ამაღლების გარეშე, მსოფლიო ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა ყოველმხრივ გამოყენების გარეშე,—შეუძლებელია უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის შემდგომი ძლიერი აღმავლობა, რომელიც საჭიროა საბჭოთა კავშირისათვის. ყოველივე ამის შესახებ ბევრი რამ იყო ნათქვამი წინასაყრილობო დისკუსიის დროს და აქაც ყრილობაზე. ჩვენ უნდა მოვაწყოთ ბევრი ახალი სახის მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. განსაკუთრებით საჭიროა სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ დაზგათმშენებლობა. უნდა მოვაგვაროთ აპარატურის წარმოება იმავე ჰიდროსადგურების ავტომატური მართვისათვის, საფეიქრო მრეწველობისათვის და სხვ. საჭიროა მოვაწყოთ წარმოება მექანიზებული ინსტრუმენტისა, რომელსაც შეუძლია ხშირად შესცვალოს უფრო რთული მოწყობილობა ქარხნებში, სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებში და სხვ. სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ძალიან დიდად საჭიროებს მანქანათმშენებლობის შემდგომ განვითარებას.

მაგრამ ამასთან ანგარიში უნდა გავუწიოთ შემდეგ გარემოებასაც. მაგალითად, სოფლის მეურნეობისათვის უნდა გადავჭრათ მექანიზაციის ძირითადი პრობლემა: ყველა ტრაქტორის უზრუნველყოფა სათანადო სატრაქტორო მისაბმელი ინვენტარით. ჩვენ ამისათვის ჯერ კიდევ სრულიადაც არ მიგვიღწევია, უნდა მივაღწიოთ კი, რაც შეიძლება მალე. მართალს ამბობდა აქ ამხ. ბენედიქტოვი, რომ არც ცხენის ინვენტარი უნდა დავივიწყოთ. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში მასზე ცოტას ზრუნავდნენ და ეს საქმე შეუწყნარებლად მივიწყებული აღმოჩნდა.

წინასაყრილობო დისკუსიის დროს ბევრს ლაპარაკობდნენ საავტომობილო წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ, კერძოდ მცირელიტრაჟიანი ავტომობილების წარმოების შესახებ. ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ უკვე მიღებულია სათანადო გადაწყვეტილება. საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს და მის ხელმძღვანელს ამხ. ლიხაჩოვს სერიოზული მუშაობა დასჭირდებათ იმისათვის, რომ შეასრულონ სახალხო კომისარიატის წინაშე დასახული ამოცანა — უკვე მიმდინარე წელს მცირელიტრაჟიანი საბჭოთა ავტომობილების გამოშვების დაწყების შესახებ. **(ტაში).**

მეტალურგიის შესახებ მე ბევრის დამატება არ დამჭირდება იმაზე, რაც მოხსენებაში ვთქვი. წინასაყრილობო დისკუსიის დროს ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა დიდი ეკონომია შავი და ფერადი ლითონების ხარჯვაში, და ეს სავსებით სწორია. ჩვენ უნდა დავამყაროთ წესრიგი და უაღრესი ეკონომია თუჯის ხარჯვაში, ფოლადის ხარჯვაში, ხარისხოვანი ფოლადების ხარჯვაში, განსაკუთრებით კი სპილენძისა და სხვა ფერადი ლითონების ხარჯვაში. ჩვენ აქ ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი უყაირათობა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე დანაკარგებთან ბრძოლის საერთო საკითხთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, აუცილებელია ზოგიერთი დამატებითი მითითებანი თეზისებში.

**ქიმიის ხაზით.** თეზისებში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაზიფიკაციის საქმეს. თეზისებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა გაზიფიკაციის ყოველნაირად განვითარება ქალაქებში. ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს მინერალური სასუქის საკითხს. უაღრესად საჭიროა მივაღწიოთ მინერალური სასუქის უკეთ მოხმარებას. შეუწყნარებელია ამჟამად არსებული მრავალრიცხოვანი ფაქტები, როდესაც მინერალური სასუქი დიდი რაოდენობით იკარგება გადაზიდვის დროს და შენახვის დროს. უნდა მოვაწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა ამ უყაირათობის წინააღმდეგ, ხოლო ამასთან ერთად, საჭიროა მოვაწყოთ წარმოება ნიადაგში სასუქის შემტანი მანქანებისა. ქიმიური მრეწველობის ცალკეული დარგებიდან მე ახლა მივუთითებ მხოლოდ აზბესტის მრეწველობაზე, რომლის უსწრაფესი განვითარების აუცილებლობას სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა პრესაში ამხ. ცალკოვიჩი.

**ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ხაზით.** საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. კოსიგინი, რომელიც ყრილობაზე გამოვიდა, მართალი იყო, როდესაც მან მთელი რიგი მოთხოვნები წამოაყენა იმის შესახებ, რომ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებმა დახმარება გაუწიონ საფეიქრო მრეწველობას. ჩვენ მოვალენი ვართ ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ ბამბეულის მრეწველობის უსწრაფეს განვითარებას. მაგრამ საფეიქრო მრეწველობის დარგში მომუშავე ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ, რომ აქ მთავარი დამოკიდებულია თვით მათზე, იმაზე, რომ მათ გააძლიერონ თავისი მუშაობა, რომ მათ განამტკიცონ და განავითარონ წარმოების ის აღმავლობა, რაც უკვე დაიწყო საფეიქრო ფაბრიკებში. საფეიქრო მრეწველობის დარგში მომუშავე ამხანაგებმა დროა საბოლოოდ უკუაგდონ გეგმის შეუსრულებლობის ძველი ცუდი ჩვეულებანი და ჩადგნენ იმათ რიგებში, ვისაც შეუძლია ბრძოლა დაწესებული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. არ შეიძლება დავივიწყოთ ისეთი რამეც, როგორიცაა ჩულქებისა და წინდების წარმოება, რაც აღნიშნული იყო პრესაში. მართლაც საჭიროა გაიშალოს ეს წარმოება ადგილებზედაც, ნამდვილად მოეღოს ბოლო ასეთი უბრალო საგნების ნაკლებობას ჩვენს მეურნეობაში. ბოლოს, თევზის მეურნეობის შესახებ. ყრილობაზე ნათქვამს მხოლოდ ისღა შეიძლება დავძინოთ, რომ იმ დროს, როდესაც მეტად საჭიროა უაღრესად სერიოზული ყურადღება მურმანსკში და საერთოდ ჩრდილოეთში, კასპიის მხარეში, აზოვის ზღვაში და შორეულ აღმოსავლეთში თევზის ძირითადი ბაზების სასწრაფო და დიდი აღმავლობის საქმისადმი, — ყოველნაირად უნდა განვავითაროთ ადგილობრივი წყალსატევები და ეს საქმე მოვაქციოთ ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღებიანი კონტროლის ქვეშ. თევზის მრეწველობის საკითხებზე საჭიროა რამდენადმე გაფართოვდეს თეზისებში მოცემული მითითებანი.

### სოფლის მეურნეობის შესახებ

წინასაყრილობო დისკუსიის დროს დიდ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაციის საკითხებს და, კერძოდ, გაზგენერატორული ტრაქტორებისა და ავტომობილების დანერგვის საკითხებს. ამას გარდა, სამართლიანად იყო დაყენებული სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოთა მუშაობის სერიოზულად გაუმჯობესების საკითხი. დროა გადავაქციოთ სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოები ნამდვილ, ნორმალურად მომქმედ საწარმოებად და არ მივცეთ მათ მუშაობას მხოლოდდამხოლოდ სეზონურ დავალებათა ხასიათი. ყრილობის წინ და მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ბენედიქტოვის ყრილობაზე გამოსვლაშიც სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ საჭიროა მიწათმოწყობის ორგანიზაციის გაუმჯობესება. სწორი თესლბრუნვის სასწრაფოდ შემოღების ინტერესებისათვის საჭიროა მიწათმოწყობის საქმე თავის მტკიცე ხელში აიღოს სახელმწიფომ და მისი დაფინანსება მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბოლოს, **კოლმეურნეობათა** საკითხის შესახებ. წინასაყრილობო დისკუსიის დროს გამოითქვა აზრი, რომ ახლა საჭიროა ხელი მოვკიდოთ სანიმუშო კომუნების შექმნას. ამ წინადადების ავტორს სათანადო პასუხი გაეცა და მიეთითა, რომ იგი სხვა მიმართულებით ჰხრის საკითხს. ჩვენში მესამე ხუთწლედშიც საკოლმეურნეო მეურნეობის ძირითადი ფორმა იქნება სასოფლო-სამეურნეო არტელი. ჩვენ ჯერ კიდევ სრულიადაც არ გამოგვიყენებია ამ საკოლმეურნეო ფორმის ყველა შესაძლებლობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამიტომ ახლა კომუნისაკენ გაწევა და მით უმეტეს სიმძიმის ცენტრის გადატანა სასოფლო-სამეურნეო არტელიდან კომუნაზე, — არასწორი პოზიციის დაკავებას და გზიდან აცდენას ნიშნავს, იმისათვის, რათა ამ საკითხზე ზოგიერთის თავში არ მოხდეს არევ-დარევა იმის გამო, რომ აქაოდა ახალი ხანა, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანა დაიწყო, — საჭიროა მტკიცედ ვთქვათ, რომ ახლაც საკოლმეურნეო მოძრაობის საფუძვლად არტელი რჩება. სხვა საქმეა, რომ საჭიროა არტელის მუშაობის შესახებაც წამოვაყენოთ მთელი რიგი ახალი ამოცანები. ასეთ ამოცანათა რიცხვს ეკუთვნის შემდეგი: კოლმეურნეობისა და საკოლმეურნეო საკუთრების შემდგომი განმტკიცება და დაშვებულ დამახინჯებათა და კოლმეურნეების საკარმიდამო მეურნეობის მხრივ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაცია. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ზრუნვა კოლმეურნის დამხმარე მეურნეობაზე არ დაუპირისპირდეს ძირითად ამოცანას — კოლმეურნეობისა და საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცების ამოცანას. საჭიროა პრაქტიკულად გავატაროთ ცალკეულ კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებისა და ინდივიდუალური პირუტყვის მიმართ დაწესებული შეზღუდვანი და ყოველნაირად შევუწყოთ ხელი კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებას. ვინაიდან მხოლოდ ამ საფუძველზე — მხოლოდ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე — შეიძლება მოხდეს სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა და კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობისა და კულტურული დონის სწრაფი ამაღლება. საჭიროა აგრეთვე გავაძლიეროთ ბრძოლა საკოლმეურნეო დისციპლინის განმტკიცებისათვის და გავაჩაღოთ სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეთა შორის. ბოლოს, საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციის სარგოლო ფორმა. ამ საკითხებზე მე უკვე მოხსენებაში ვილაპარაკე. საჭიროა შეტანილ იქნას სათანადო დამატებანი თეზისებშიც მესამე ხუთწლედის შესახებ.

რაც შეეხება **ტრანსპორტს**, აქ მე ძალიან ცოტა მაქვს სალაპარაკო. ამხანაგ კაგანოვიჩის გამოსვლაში საკმაოდ იყო ნათქვამი რკინიგზის ტრანსპორტის ამოცანების შესახებ და, კერძოდ, იმის შესახებ, რომ საჭიროა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი მნიშვნელოვანი განმტკიცება. მესამე ხუთწლედის გეგმაში ამ ამოცანებმა უნდა ჰპოვონ თავისი სრული გამოხატულება. ვუპასუხებ რა მიღებულ ბარათზე, მე უნდა ვთქვა, რომ მესამე ხუთწლედისათვის არ შეიძლება აქტუალურ ამოცანად ჩაითვალოს ახალი რკინიგზის გაყვანა კავკასიონის ქედზე. ამჟამად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება მალე დავამთავროთ შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა, რაც გააადვილებს და დააჩქარებს ამიერკავკასიის კავშირ-ურთიერთობას ჩრდილო-კავკასიასთან და ცენტრთან. კიროვის რკინიგზის შესახებ მე უნდა დავადასტურო ის, რომ ამ გზაზე დაიგება მეორე ლიანდაგი მურმანსკიდან სადგურ სოროკამდე. ამას გარდა, გაყვანილი იქნება აგრეთვე გარდიგარდმო რკინიგზა სოროკა-პლესეცკაიას ხაზზე, რომელიც შეაერთებს ჩრდილოეთის ორ გზას — კიროვისა და ჩრდილოეთის გზებს. ეს გააძლიერებს ჩრდილოეთის კავშირს ცენტრთან, აგრეთვე დახმარებას გაგვიწევს იმ მხრივ, რომ უკეთ იქნას გამოყენებული ჩრდილოეთის ევროპული ნაწილის ხე-ტყისა და სხვა სიმდიდრენი.

**ავტოსაგზაო ტრანსპორტის** შესახებ. ყოველი მხრიდან მოდის წინადადებანი სერიოზული ყურადღება

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

## ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვის დასასრული

მივაქციოთ ავტომეურნეობას, და ეს სავსებით სწორიცაა ახლა, როდესაც ავტომობილები ჩვენში საკმაო რაოდენობით არის, ხოლო მესამე ხუთწლედის დასასრულისათვის მათი რიცხვი უკვე 1.700 ათასს მიაღწევს. ავტოტრანსპორტის გამოყენების საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. და აქ, თუ უკეთ მოვაწყობთ საქმეს და აღმოვფხვრით ავტოტრანსპორტის გამოყენებაში უყაირათობის მრავალრიცხოვან ფაქტებს, ჩვენ კარგ საქმეს გავაკეთებთ სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. ავტომეურნეობის დარგში სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების საკითხები უახლოეს დროში სპეციალურად უნდა განიხილოს ეკონომიურმა საბჭომ.

**მშენებლობის ხაზით.**

ბევრი ამბობს, საჭიროა საშენი მასალების წარმოების საქმის გაუმჯობესება. ამისათვის, როგორც იცით, შექმნილია სპეციალური სახალხო კომისარიატი, მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ აუცილებელია სამშენებლო ორგანიზაციების სხვა სტრუქტურაც. ლენინგრადელ ამხ. პოპკოვის მიერ ყრილობაზე დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ საბინაო მეურნეობის ყველა სამშენებლო ორგანიზაცია გადაეცეს ლენინგრადის საბჭოს, საეჭვოა, რომ ასე მარტივად იქნას გადაჭრილი. მაგრამ ამ წინადადებაში არის სიმართლის მარცვალი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა საბინაო მშენებლობის ხაზით შეიქმნას მძლავრი ტერიტორიული ორგანიზაციები პარალელურად არსებული მცირეძალოვანი უწყებრივი ტრესტების ლიკვიდაციის ხარჯზე. როდესაც ჩვენ შევქმნით მშენებლობის საქმეთა სახალხო კომისარიატს, — ჩვენ კი ახლა აქეთკენ მივდივართ, — მაშინ ამ დარგში, ალბათ, სავსებით განხორციელდება დიდ ტერიტორიულ სამშენებლო ორგანიზაციებზე გადასვლა.

წინასაყრილობო დისკუსიის დროს სერიოზული ყურადღება ექცეოდა სახალხო მეურნეობისათვის საჭირო **კადრების მომზადების**, ახალ სპეციალისტთა მომზადების საკითხებს, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მუშაობას, **ტექნიკური აზრის და სამეცნიერო მუშაობის** გაუმჯობესებას. პარტიის მიერ ჩვენი სოციალისტური ინტელიგენციის მიმართ ახლა დასახულმა ამოცანებმა ყველა ეს საკითხი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე უნდა აიყვანონ, ვიდრე ეს დღემდე იყო. არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ მეცნიერების დარგშიც, სადაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია უნდა ასრულებდეს წამყვან როლს და უნდა იძლეოდეს სწორ ტონს, როგორც მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის თეორიულ მუშაობაში, ისე იმ მხრივაც, რომ მეცნიერთა შემოქმედებითი მუშაობა საქმიანად დაუკავშირდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელს გეგმიან განვითარებას მესამე ხუთწლედში, — ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს გადაუჭრელი საკითხები. მაგრამ ახლა უფრო მეტად, ვიდრე წინათ, შეიძლება ვიქონიოთ ამ დარგში უკეთესი შედეგების იმედი, ამას კი სახალხო მეურნეობისათვის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

იმ საკითხებიდან, რომლებსაც უფრო **საერთო, პრინციპული ხასიათი** აქვთ და რომელთა შესახებაც ლაპარაკი იყო წინასაყრილობო დისკუსიის დროს, მოხსენებაში მე შევჩერდი, მაგალითად, შემდეგ საკითხებზე: ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრის საკითხზე, გონებრივ შრომასა და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრის პერსპექტივებზე, აგრეთვე, მოკლედ, კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარების საკითხებზედაც, რის შესახებაც მე ახლა დამატებითი შენიშვნები გავაკეთე.

წინასაყრილობო დისკუსიის დროს აგრეთვე გამოთქმული იყო აზრი, რომ თეზისებში მოყვანილმა მითითებამ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან სსრ კავშირის არსებულ ეკონომიურ ჩამორჩენაზე შეიძლება არასწორი წარმოდგენა გამოიწვიოს საბჭოთა კავშირზე. ამასთან ამბობდნენ, რომ თეზისების მითითება იმაზე, რომ საკმაო არ არის სსრ კავშირის ეკონომიური დონე თითქოს არ ეთანხმება სსრ კავშირში მშრომელი მასების მდგომარეობის განუხრელი გაუმჯობესების ფაქტს, მით უმეტეს, რომ თვით ეკონომიურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ფართო მასების მდგომარეობა კრიზისების, უმუშევრობისა და სოფლად სიღატაკის გავლენით სულ უფროდაუფრო უარესდება. ამაზე უნდა ითქვას, რომ თეზისებში საკმაოდ ნათლად არის აღნიშნული, თუ რა სწრაფი ტემპით სწარმოებს ხალხის კეთილდღეობის ზრდა საბჭოთა კავშირში და თუ ხალხის კეთილდღეობის რა შემდგომ დიდ ზრდას ითვალისწინებს მესამე ხუთწლიანი გეგმა, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დონის შემდგომი ამაღლების იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც დასახულია ამ გეგმაში. მაგრამ ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ, აღვნიშნავთ რა ამ დადებითს მომენტებს, ჩვენ სრულიადაც არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ არასაკმაოა სსრ კავშირის უკვე მიღწეული ეკონომიური დონე. ჩვენ არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ გავუსწარით რა კაპიტალისტურ ქვეყნებს მრეწველობის ამაღლების ტემპების მხრივაც და წარმოების ტექნიკის უკვე მიღწეული დონის მხრივაც, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავეწიეთ ყველაზე განვითარებულ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქტების წარმოების ოდენობის მხრივ. თუ ამ წარმოებას ავიღებთ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ჩვენი მოსახლეობის უდიდესი რაოდენობის გამო, ამისათვის ცოტა დრო როდია საჭირო, ამისათვის ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ. მაგრამ ამ ამოცანასაც ჩვენ მოკლე ვადაში შევასრულებთ, თუ თვალს არ დავხუჭავთ ჩვენს ნაკლოვანებებზე, თუ შევძლებთ ბოლშევიკურად გავაღვივოთ ბოლშევიკთა და ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსან მოქალაქეთა მისწრაფება სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის სასწრაფოდ გადაჭრისაკენ.

ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენების შემდეგ, რომელმაც ღრმა მეცნიერულად გააშუქა სახელმწიფოსა და სსრ კავშირის ინტელიგენციის საკითხები მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, საჭირო არ არის შეჩერება რაიმე სხვა საერთო პრინციპულ საკითხებზე. ახლა პარტიას აქვს ნათელი, ბოლშევიკური პერსპექტივა მთელს მუშაობაში, ყველა მორიგი ამოცანის გადაჭრაში.

აქ გამოსული ყველა ამხანაგი ლაპარაკობდა სახალხო მეურნეობის ამათუიმ დარგის, სსრ კავშირის ამათუიმ ეკონომიური რაიონებისა და რესპუბლიკების აღმავლობაზე და მთლიანად საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღმავლობაზე. მართლაც, ჩვენს ქვეყანაში დაწყარდა ყველა დარგისა და ყველა ეკონომიური რაიონის განუხრელი სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური აღმავლობა, რაც თავის გამოხატულებას ჰპოულობს ყველა ჩვენი რესპუბლიკისა და მთლიანად მთელი სსრ კავშირის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აღმავლობაში. მესამე ხუთწლიანმა გეგმამ უდიდესი მაორგანიზებელი როლი უნდა ითამაშოს ამ აღმავლობასა და მთელი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომ ზრდაში.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბოლშევიკურად დავირაზმოთ ძალები **მესამე ხუთწლედის გეგმის შესასრულებლად.** ერთი წელი, მესამე ხუთწლედის პირველი წელი, უკვე გავიდა. გასულ წელს ჩვენ ჩვენი მრეწველობის მცირე აღმავლობას როდი მივაღწიეთ. გასულ წელს მრეწველობის ზრდამ, წინა წელთან შედარებით, 11 პროცენტს მიაღწია. მაგრამ ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი მრეწველობის ზრდის უფრო მაღალი ტემპები მესამე ხუთწლედის გეგმის შესასრულებლად. 1939 წლისათვის ჩვენ მივიღეთ მრეწველობის 20 პროცენტით ზრდის გეგმა. ამოცანა, როგორც ხედავთ, სერიოზულია, ადვილი როდია. მაშასადამე, დროს დაკარგვა არ შეიძლება. პარტიის XVIII ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია მუშათა მასებში. ამასთან დაკავშირებით გაძლიერდა ჩვენი მრეწველობის წარმოების ტემპები. ჩვენ ჯერ კიდევ მრეწველობის ყველა დარგში როდი ვასრულებთ მთლიანად ამ წლის გეგმას, მაგრამ უკვე მთელი რიგი დარგები, მთელი რიგი ქალაქები და რაიონები წარმატებით სწყვეტენ თავიანთ ამოცანებს. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ მუშათა მასების წინასაყრილობო აღტყინება, რომელმაც თებერვალში უკვე მოგვცა თავისი თვალსაჩინო შედეგები. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ 1939 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის კარგად შესრულებამ ხელი შეუწყოს მთელი მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეს. (**ტაში**).

ჩვენ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ პირველი სტალინური ხუთწლედის შემდეგ, რომელმაც სახელი გაითქვა გეგმის ვადამდე შესრულებით, და მეორე სტალინური ხუთწლედის შემდეგ, რომელიც ჩვენ ასეთივე წარმატებით დავამთავრეთ, შეგვეძლოს ამაყად ვთქვათ: ჩვენ ბოლშევიკურად ვიბრძოდით მესამე სტალინური ხუთწლედის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენ ვუზრუნველვყავით ახალი ბოლშევიკური გამარჯვება, და მაშინ მესამე ხუთწლედი საქმით იქნება ისეთი, როგორიც უნდა იყოს იგი—სსრ კავშირის ძალთა მძლავრი აღმავლობის ახალი ძლევამოსილი სტალინური ხუთწლედი. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე სდგებიან, დარბაზში გაისმის „ვაშას" ძახილი**).

## ამხ. ა. მიქოიანის სიტყვა*

### გაგრძელება

თუმცა მთლიანად აღებულმა მსუბუქმა მრეწველობამ მეორე ხუთწლედში თავისი პროდუქცია 82 პროცენტით გაადიდა, მან მაინც თავისი გეგმა ვერ შეასრულა.

მსუბუქ მრეწველობაში ჩვენი მთავარი ნაკლოვანებაა საფეიქრო, და, უმთავრესად, ბამბეული მრეწველობის ჩამორჩენა, ხოლო წარმოების ამ დარგში, უმთავრესად, რთვის ჩამორჩენა, ვინაიდან, ბამბის არსებობისას, ჩვენ შეგვეძლო ნართი ბლომად დაგვემზადებინა და ეს ნართი გამოყენებული იქნებოდა საქსოვადაც და სატრიკოტაჟო ნაწარმის დასამზადებლადაც, ამასთან, თუ სახელმწიფო სატრიკოტაჟო და საქსოვი ფაბრიკები საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, — შეიძლებოდა გამოგვეყენებინა საშინმრეწველო კოოპერაციის უდიდესი შესაძლებლობანი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენში რთვის საქმე ნელა იზრდება.

ბამბეული მრეწველობის პროდუქცია 1937 წელს 1932 წლის მიმართ 124,3 პროცენტს შეადგენდა. ეს ზრდა არასაკმარისია, ვინაიდან ხუთწლიანი გეგმით დიდი ზრდა იყო დასახული და ქსოვილებზე მოთხოვნილება ჩვენს ქვეყანაში სწრაფად მატულობს, ამიტომ ამ მხრივ მოთხოვნილება ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელი რჩება.

პირველ ხუთწლედში და მეორე ხუთწლედის პირველ წლებში ბამბეულის მრეწველობაში ვიწრო ადგილს წარმოადგენდა ნედლეულის ნაკლებობა. ამიტომ ჩვენი ძალღონე მიმართული იყო ბამბის საბჭოთა წარმოების გადიდებისაკენ.

ჩვენ ამ დარგში ჭეშმარიტად გრანდიოზულ წარმატებათა მიღწევა შევძელით. მაშინ როცა ცარიზმის დროს, 1913 წელს, მიღებული იყო 13,1 მილიონი ფუთი ბამბის ბოჭკო, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენ საშუალოდ 50 მილიონზე მეტ ფუთ ბამბის ბოჭკოს ვღებულობთ ყოველწლიურად, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტს. ამას შესაძლებლობა უნდა მოეცა ბევრად უფრო გაგვედიდებინა ქსოვილების წარმოება, ვიდრე ამას ნამდვილად ადგილი აქვს.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენი ბამბეული მრეწველობა ვერ ასწრებს მთელი ბამბის გადამუშავებას. აი რატომ არის, რომ ჩის საწყობებში დაგროვდა ბამბის დიდი, ზენორმალური დარჩენილი მარაგი, რომელიც ჩვენ, ბამბეული მრეწველობის სიმძლავრეთა სწრაფად ამაღლების გზით, უახლოეს ერთ-ორ წელში უნდა მოვიხმაროთ. ამან უნდა მოგვცეს ბამბეული ქსოვილების გამოშვების უფრო გაძლიერებული ყოველწლიური მატება, ვიდრე ამას დღევანდლამდე ჰქონდა ადგილი.

ასეთი მდგომარეობა იმის გამო შეიქმნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, როდესაც იქ ჯერ კიდევ ისხდნენ მავნებლები, კაპიტალურ დაბანდებებს, უმთავრესად, ახმარებდა არა საერთოდ მრეწველობის და, კერძოდ, რთვის სიმძლავრეთა გადიდებას, არამედ ყოველგვარ „რეკონსტრუქციას", რომელიც ან არ იძლეოდა ეფექტს, ან მცირე ეფექტს იძლეოდა, რამდენადაც ისინი ახდენდნენ ძველი ფაბრიკების გადაკეთებას, სცვლიდნენ წარმოების ხასიათს, ატარებდნენ „რაციონალიზაციას", მაგრამ პროდუქციას არ გვმატებდნენ, ან ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით გვმატებდნენ.

აი რატომ იყო, რომ მთავრობა იძულებული იყო გაეუქმებინა მთელი რიგი ფაბრიკების რეკონსტრუქცია, რაშიც განზრახული იყო ბევრი ფულის დაბანდება, თუმცა ამას, დამატებითი პროდუქციის გამოშვების თვალსაზრისით, ჯეროვანი ეფექტი ვერ მოჰყვებოდა.

გარდა ამისა, ძველი მოწყობილობა ქარხნებსა და ფაბრიკებში მოუვლელი იყო, ჯეროვნად არ იყო შეკეთებული. ამიტომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, პარტიისა და მთავრობის ჩარევის შემდეგ, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ძველი მოწყობილობის ძირითადი ნაწილი უკვე ნორმალურ მდგომარეობაშია მოყვანილი.

მეტად უყურადღებოდ იყო მიტოვებული აგრეთვე საფეიქრო მანქანათმშენებლობის ბაზა, მაგრამ ამ წელიწადნახევრის განმავლობაში, პარტიისა და მთავრობის ჩარევის შემდეგ, შესაძლებელი გახდა სწრაფად განგვევითარებინა საფეიქრო მანქანების წარმოება ჩვენი ქვეყნის ქარხნებში, რამაც 1938 წელს 200 ათასზე მეტი თითისტარის მატება მოგვცა. 1939 წელს გეგმით დასახულია 600 ათასი თითისტარის მატება, ე. ი. მარტო 1939 წელს უფრო მეტისა, ვიდრე წინა 10 წლის განმავლობაში.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, საფეიქრო მრეწველობა ფეხზე დგება.

საფეიქრო მრეწველობის ხელმძღვანელობის განახლებაც უკვე იძლევა თავის ნაყოფს და, უნდა ვიფიქროთ, რომ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი — ამხ. კოსიგინი შესძლებს ასწავლოს საფეიქრო მრეწველობის მუშაკებს ბოლშევიკურად მუშაობა.

ფეიქრებს შორის შეჯიბრების გაჩაღების საკითხს ხელი მოჰკიდეს საფეიქრო რაიონების ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმაც, განსაკუთრებით პარტიის ივანოვოს საოლქო კომიტეტმა, სადაც ამხ. სლდინი საფეიქრო მრეწველობის მუშაკებს ახალი გამარჯვებებისათვის რაზმავს და, ივანოვის ოლქის ფაბრიკების უდიდესი უმრავლესობა თავის გეგმებს მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ საფეიქრო მრეწველობის მუშაკები ხელს აიღებენ ძვალ-რბილში გამჯდარ თავიანთ ჩვეულებაზე — პროგრამის შეუსრულებლობაზე — და შეითვისებენ ახალ ჩვეულებას — პროგრამის ყოველთვის წესიერად შესრულებას (**ტაში**).

მე არ შევჩერდები მსუბუქი და კვების მრეწველობის ყველა დარგის მდგომარეობაზე, პროდუქციის უდიდეს ზრდაზე, განსაკუთრებით კვების მრეწველობის ხაზით, რომელმაც როგორც პირველი, ისე მეორე ხუთწლიანი გეგმა ვადამდე შეასრულა, დაეწია და გაუსწრო კაპიტალიზმის მთავარ ქვეყნებს ტექნიკურად და წარმოების ტემპებით.

მე ვფიქრობ, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის სათანადო დარგების სახალხო კომისრები გამოვლენ აქ და გააცნობენ ყრილობას მრეწველობის მდგომარეობას და მის ამოცანებსაც.

მე შემთხვევა მქონდა მელაპარაკა ზოგიერთ მუშაკთან—ცოლი და ქმარი პასუხსაგებ სამუშაოს ასრულებენ. ცოლი ჩივის:—„უბედურებაა". რაშია საქმე? ცოტა ხელფასს იღებთ?—„არა, ხელფასს კარგს ვიღებთ, ფული საკმაოდ გვაქვს, მადლობელი ვართ საბჭოთა ხელისუფლებისა". მაშ რაღაშია უბედურება? —„მოსამსახურე ვერ გვიშოვნია, იძულებული ვართ მოვცდეთ პასუხსაგებ სამუშაოს, რათა თავი გავართვათ ოჯახის საქმეს—საჭმლის მომზადებას და სხვა". იგი ამას გულწრფელი წყენით ამბობდა. იმისათვის ეს უბედურებაა, მაგრამ ეს „უბედურება" მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის ბედნიერებაა, ბედნიერებაა, იმიტომ, რომ ისე გარდაიქმნა ხალხის მასების ცხოვრება, და იმდენად გაიზარდა მოსახლეობის შეძლებულობა, რომ ველარ ვშოულობთ საკმაო რაოდენობით ადამიანებს, რომ ოჯახმა იყოს მსახურად. შინამოსამსახურედ დადგეს, იმიტომ, რომ აღარ არის უმუშევრობა, აღარ არის გაჭირვება (**ტაში**).

მაგრამ უნდა ვაწყენინო ზოგ ვინმეს და ვთქვა, რომ ეს „უბედურება" მომავალშიაც სულ უფროდაუფრო გაიზრდება, ვინაიდან ჩვენი ბედნიერი ხალხი მომავალში კიდევ უფრო ნაკლებად მოისურვებს შინამოსამსახურედ დადგომას და კარგადაც იზამს (**სიცილი**).

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? დაწესებულებაში სამსახური საჭიროა, მაშ, შინ მუშაობა, სამზარეულოში მუშაობა ყველას არ შეუძლია. არის სრული შესაძლებლობა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. შეიძლება საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ხალხმა დაწესებულებაშიაც იმსახუროს და შინაც უხლაფორთოდ მოაწყოს საჭმლის მომზადება და ოჯახის საქმე.

აქ საქმეში ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ და უნდა ვისწავლოთ ამერიკელებისაგან. როცა ამერიკელები ჯერ კიდევ ჰყავებს განიცდიდნენ და მუშა ხელი არ ჰყოფნიდათ, მაშინ შინამოსამსახურის დაქირავებაც უძნელდებოდათ. მაშინ ამერიკელებმა განავითარეს მრეწველობის ის დარგები, რომლებიც აადვილებენ ოჯახურ მეურნეობას.

რის გაკეთება გვჭირდება ჩვენ აქისათვის? საჭიროა გავაფართოვოთ წარმოება გაზისა და ელექტრული ფილაქურებისა, მოხერხებული ჭურჭლისა, ჭურჭლის სარეცხი მარტივი მოწყობილობისა, მტვერსასრუტებისა, საოჯახო მაცივრებისა და სხვა. უნდა გავშალოთ საზოგადოებრივი სამრეცხაოების და ტანისამოსის ქიმიური საწმენდი სახელოსნოების ქსელი, მოვაწყოთ ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნოები, ტანსაცმლის საუთოებელი სახელოსნოები და სხვ. მოსკოვსა და ლენინგრადში ამერიკული ტიპის მიხედვით უკვე გაშლილია მექანიზებული შესაკეთებელი სახელოსნოების ფართო ქსელი; აქ, თუ საქმეს კარგად დავაყენებთ, ეს კი ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ კიდევაც, — შეგვიძლია შევიდეთ სახელოსნოში, შესაკეთებლად მივცეთ ფეხსაცმელი, რომელსაც 15-20 წუთში შეაკეთებენ, ამასობაში კი, ხედავ—კოსტიუმს გიუთოებენ, შენ კი ზიხარ და გაზეთს კითხულობ (**სიცილი, ტაში**).

საჭიროა ფართოდ გავშალოთ საზოგადოებრივი სასადილოების ქსელი. რატომ არ შეგვიძლია ამის გაკეთება? აქ დარგშიაც დგას „დაწევისა და გასწრების" ამოცანა და ჩვენც ჩქარა უნდა დავეწიოთ, აუცილებლად (**ტაში**).

კვების პროდუქტების დარგში ფართოდ უნდა გავშალოთ კვების მზა პროდუქტების წარმოება და მოსახარშად და მოსახრაკად გამზადებული კვების პროდუქტების წარმოება, მაგალითად, უნდა დავამზადოთ მშრალი საუზმე—სიმინდისა, ხორბლისა და ბრინჯისა, წვრილი ძეხვი, ძეხეული, სხვა და სხვა კონსერვი—ხორცისა, რძისა, ბოსტნეულისა და ხილისა; ტომატისა და ხილის წვენი, გაყინული და დაკონსერვებული ოდნავ წამოდუღებული ბოსტნეული—სიმინდი, ახალი ცერცვი და მუხუდო; უმი ბივშტექსი და მობეგვილი კატლეტი, აგრეთვე მზა კატლეტი, თევზის ქარხნებში წინდაწინ გასუფთავებული თევზი და სხვ.

ჩვენი კვების მრეწველობა სავსებით მომზადებულია ამ ამოცანის გადასაჭრელად.

თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი კვების მრეწველობა, შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც შემდეგი ციფრების მიხედვით: კონსერვი დამზადებული იყო 1937 წელს — 877,2 მილიონი ქილა, 1932 წლის 484,6 მილიონი ქილის ნაცვლად; ძეხეული და შაშხეული 1937 წელს დამზადებული იყო 326 ათასი ტონა, 1932 წლის 59,2 ათასი ტონის ნაცვლად. კატლეტი 1932 წელს არ კეთდებოდა, ხოლო 1937 წელს დამზადებული იქნა 56 მილიონი ცალი. არ დამზადებულა 1932 წელს აგრეთვე გაყინული თევზის სუკი, ხოლო 1937 წელს დამზადებული იქნა იგი 120 ათასი ცენტნერის რაოდენობით; სხვადასხვა წვენის კეთება დაწყებული იქნა 1937 წლიდან და ამავე წელს უკვე დამზადდა 4.8 მილიონი ქილა.

აქედან სჩანს, რომ სსრ კავშირში ამერიკული მეთოდები გამოყენებულ იქნა გასაკეთებლად გამზადებული და შემზადებული კვების პროდუქტების წარმოებაშიაც, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმაო მასშტაბით ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა. ასე, მაგალითად, მოსკოვის ხორცის კომბინატი ყოველდღიურად ამზადებს 300-მდე ტონა სხვადასხვა ძეხეულსა და წვრილ ძეხვს, 800 ათას ცალზე მეტ კატლეტს, 15-17 ტონა ხინკალს; რძისა და ხორცის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მოსკოვის რამდენიმე ფაბრიკა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასადილოებსა და რესტორანებს) ყოველდღიურად ამზადებს ზაფხულობით 55-60, ხოლო ზამთრობით დაახლოებით 25 ტონა ნაყინს.

ჩვენი ამოცანაა, რომ ეს საქმე ფართოდ გავშალოთ არა მარტო მოსკოვსა და ლენინგრადში, ხარკოვსა და კიევში, ბაქოსა და თბილისში, არამედ ყველა სხვა ქალაქშიაც. ამისათვის ყველა შესაძლებლობანი მოგვეპოვება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი სახალხო კომისრები—კვების მრეწველობისა — ამხ. ზოტოვი, ხორცისა და რძისა— ამხ. სმირნოვი და თევზისა—ამხ. ჟემჩუჟინა, რომელთაც აქ საქმის ცოდნაც, გემოვნებაც და საკმაო ენერგიაც აქვთ, ამ ამოცანას დასძლევენ, და მალე გვექნება საბჭოთა მარკის პირველხარისხოვანი პროდუქტების სიუხვე, ნამდვილი სიუხვე (**ტაში**).

იმ მიზნით, რომ დიასახლისებმა უკეთ იცხოვრონ და არ დასჭირდეთ შინამოსამსახურე, საჭიროა კიდევ, რომ მსუბუქი მრეწველობა, საკერვალო, ფეხსაცმლისა და საგალანტერიო დარგებიც შეეგუონ მოსახლეობის საჭიროებებს, დაამზადონ საჭირო ზომისა და ფასონის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და თავიდან აიცილონ დიასახლისებს იმის აუცილებლობა, რომ თითონ ჰკერონ ან გადააკეთონ ნაყიდი მზა ტანსაცმელი.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია 1937 წელს 1932 წელთან შედარებით გაიზარდა: ზედა ჩასაცმელი ტრიკოტაჟისა—276%, ტრიკოტაჟის საცვლებისა—447,8%, წინდებისა 223% და ფეხსაცმლისა—182%, მაგრამ ეს კიდევ სრულიადაც არ კმარა, თუ არ დავივიწყებთ, თუ რა დიდი მოსახლეობაა ჩვენში და რა დიდ მოთხოვნილებას აყენებს იგი ამ საქონელზე. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა გვაქვს ამ ნაწარმოებთა ხარისხის მხრივ.

მსუბუქმა მრეწველობამ უნდა გამოუშვას ყველა საგალანტერიო საქონელი, რომელიც ჩვენ გვჭირდება, მათ შორის უმაღლესი ხარისხისაც. განა არ უნდა რცხვენოდეთ მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს, როცა, თუ, ვთქვათ, ქალს კარგი წინდები აცვია, იტყვიან ხოლმე—„ეს, ალბათ, საზღვარგარეთულიაო". რატომ არ შეიძლება, რომ უფრო მეტი დამზადდეს ჩვენში კარგი ხარისხის წინდები? ან კიდევ აიღეთ კარგი ყელსახვევი, ამბობენ „ალბათ, საზღვარგარეთულიაო". წინათ ასე იყო კვების პროდუქტების მხრივ. თუ კარგი სასმელი ან ლიქიორი იყიდებოდა, ამბობდნენ—„პარიზულიაო" ან, თუ კარგ წვრილ ძეხვს ყიდულობდნენ—ამბობდნენ — „გერმანულიაო", კარგ შამპანურზე ამბობდნენ — „ფრანგულიაო". ახლა კვების დარგში ყველა ჩვენი პროდუქცია საბჭოთა პროდუქციაა, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდება, ხოლო ხშირად უკეთესიც არის საზღვარგარეთულზე. რატომ არ უნდა მოვაწყოთ ისე, რომ კარგი წინდები იყოს არა საზღვარგარეთული, არამედ საბჭოთა, კარგი ყელსახვევი იყოს არა საზღვარგარეთული, არამედ საბჭოთა, რომ ფართო მოხმარების ყველა საქონელი საზღვარგარეთული ნიმუშების დონისა ან იმაზე უკეთესი იყოს?

ეს ამოცანა ჩვენთვის ადვილი გადასაჭრელია. ჩვენ გიგანტური ამოცანები გადაგვიჭრია. სასიამოვნო იყო მოსმენა, როცა ამხ. ვოროშილოვმა მოახსენა ყრილობას, რომ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ წითელ არმიას 8 მილიონი ცხენი მისცა მოტორების სახით. (**სიცილი**).

ეს შეიძლება გაკეთდეს და ამას ბევრი დრო არ სჭირდება. საჭიროა მაქსიმუმი ერთი-ორი წელიწადი იმისთვის, რომ მოვაგვაროთ ეს საქმე, და ჩვენ გვექნება ფართო მოხმარების საქონლის პირველხარისხოვანი პროდუქცია. საჭიროა, რომ სამრეწველო ქალაქების ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ჩაებან ამ მუშაობაში.

ეკონომიურმა საბჭომ უკვე ხელი მოჰკიდა ამ საქმეს, გამოიწერა სხვადასხვა საქონლის საზღვარგარეთული ნიმუშები, შეჰქმნა ორგანიზაცია, რომელიც გამოიძახებს სამეურნეო მუშაკებს და ეუბნება: „შეგიძლიათ თუ არა ამის გაკეთება? თუ შეგიძლიათ, აღგიქვამთ პრემიას, მოგცემთ ნედლეულს, იმუშავეთ". უკვე რამდენიმე ასეულმა ქარხანამ აიღო საზღვარგარეთული ნიმუშები, დასდო ხელშეკრულებანი მათ ათვისებაზე და მუშაობს. მალე ჩვენ გვექნება ათობით და ასობით სახელწოდების საქონელი საუკეთესო საზღვარგარეთული ნიმუშების მიხედვით, მაგრამ საბჭოთა წარმოებისა.

საჭიროა საქონლის ხარისხის აყვანა მაღალ დონეზე. საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ საზღვარგარეთულ საქონელს აღარავინ უყურებდეს. საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ არა პარიზისა და ლონდონის, არამედ მოსკოვისა და ლენინგრადის საქონელი ითვლებოდეს ყველაზე საუკეთესოდ. ეს შეიძლება გაკეთდეს. თუ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაკებს უნდათ იყვნენ ნამდვილი ბოლშევიკები, ეს ამოცანა მათ უმოკლეს ვადაში უნდა გადასჭრან. მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო კიდევ ერთ გარემოებას. ჩვენში სამეურნეო მუშაკები ძალიან განებივრებული არიან. ჩვენი ქვეყანა ძალიან მდიდარია ყოველგვარი ნედლეულით, ბამბა რამდენიც გინდა არის უმაღლესი ხარისხისა, სელი—რამდენიც გინდა უმაღლესი ხარისხისა. დაბალი ხარისხის ბამბას ჰყრიან, ნარჩენებს ჰყრიან, ფიქრობენ, რომ ნარჩენები სწორედ გადასაყრელი უნდა იყოს. საზღვარგარეთ კი ნარჩენებისაგან ისეთსავე საქონელს ამზადებენ, როგორც კარგი ნედლეულისაგან. მაშ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენ ეს ნარჩენები? ეს რა ხელგაშლილობაა! ჩვენც შეგვიძლია გამოვიყენოთ, ჩვენც შეგვიძლია გავაკეთოთ ეს, მხოლოდ განებივრებული ვართ. განებივრებულია ბევრი სამეურნეო მუშაკი, საჭიროა კი ვაიძულოთ ისინი იმუშაონ როგორც საჭიროა.

რა გავაკეთეთ ჩვენ ამ დარგში? ამხანაგ სტალინის რჩევით შარშან ჩვენ სამეურნეო მუშაკებს დავუწესეთ პრემიები დაბალი ხარისხის ბამბის გამოყენებისათვის. მე ამჟამად მაქვს ცნობები მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან, რომ თუ წინათ დაბალი ხარისხის ბამბის ნარჩენები მატულობდა, ახლა ეს ნარჩენები ძალზე შემცირდა.

მაშასადამე, საჭიროა მხოლოდ ხელი მოვკიდოთ საქმეს, და ყველაფერი გვექნება. საჭიროა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ნარჩენებიდან გავაკეთოთ საქონელი, მაშინ ჩვენ მეტი ნედლეული გვექნება და საქონელიც უფრო იაფი იქნება. ჯერჯერობით მსუბუქ მრეწველობაში მეტად გაუბედავი ნაბიჯებია გადადგმული ამ დარგში.

ახლა, როცა სახალხო კომისარიატები გაყოფილია, საფეიქრო მრეწველობისა ცალკე და მსუბუქი მრეწველობისა ცალკე, უნდა ვიფიქროთ, რომ მსუბუქი მრეწველობა და მისი სახალხო კომისარი ამხ. ლუკინი ჯეროვნად მოჰკიდებენ ხელს მოსახლეობის მომსახურებას მზა ტანსაცმლით, სატრიკოტაჟო, საგალანტერიო საქონლითა და ფეხსაცმლით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მარტო მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატები მოსახლეობის მომარაგების ამოცანას ვერ გადასჭრიან. ბევრ საქონელს ამზადებენ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატები; ფართო მოხმარების საქონელს ამზადებს აგრეთვე ყველა სხვა საწარმოო კომისარიატი. მაგალითად, ლითონის საწოლებსა და ავეჯს, საათებს, რადიომიმღებთ, ფირფიტებს, პატეფონებს, ველოსიპედებს, მაცივრებს, ლითონის ჭურჭელს, კოვზებსა და სხვას აკეთებენ სხვადასხვა სახალხო კომისარიატები, აკეთებენ მძიმე და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატები. ჟანგმოუკიდებელი და ნიკელირებული ფოლადი,—ყოველივე ეს დიდი რაოდენობით ხმარდება ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს სახალხო კომისარიატები ფართო მოხმარების საქონელს არ უყურებდნენ, როგორც მესამეხარისხოვან საქმეს, რომ ისინი ფართო მოხმარების საქონელს ამზადებდნენ ისე, როგორც საჭიროა.

ამხანაგი სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე ამბობდა:

„...6) გავშალოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატში.

7) გავშალოთ ადგილობრივი საბჭოთა მრეწველობა, მივცეთ მას შესაძლებლობა გამოიჩინოს ინიციატივა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეში და აღმოვუჩინოთ მას შესაძლებელი დახმარება ნედლეულითა და სახსრებით".

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამხანაგ სტალინის ეს მითითება არასაკმაოდ სრულდება, ვინაიდან შესაძლებლობანი უდიდესია, მოთხოვნილება დიდია, ხოლო ჯერჯერობით ცოტაა გაკეთებული.

ამხანაგმა სტალინმა უკვე მოიყვანა ციფრები, რომლებიც მოწმობენ საქონელბრუნვის უდიდეს ზრდას ჩვენს ქვეყანაში, ქალაქად და სოფლად. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებანი, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა და შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ვითარდება საქონელბრუნვა, აქედან გამომდინარეობს შეუფარდებლობა მოთხოვნილებებისა და საქონელბრუნვის ზრდის ტემპებს შორის. აი რატომ უნდა გავაძლიეროთ ჩვენ საქონელბრუნვა, მივიღოთ სერიოზული ზომები ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის.

ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო სპეციალურად მუშაობდნენ სოფლად ვაჭრობის გაუმჯობესებაზე, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის განმტკიცებაზე. „ცენტროსოიუზის" მუშაობაში შეტანილია სერიოზული ცვლილებები, და ახლა სამომხმარებლო კოოპერაციამ იწყო თავისი მუშაობის გაუმჯობესება. წინათ იქ ისხდნენ მავნებლები, ახლა კი ჩან სათავეში უდგანან პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანები.

საქალაქო ვაჭრობას ახლა უკვე ემჩნევა ერთგვარი გაუმჯობესება, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტია კადრები, ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანი ორგანიზაცია, რათა დასმული ამოცანები კარგად იქნას გადაჭრილი. ეს ამოცანები ჩვენ ჯერ კიდევ გადასაჭრელი გვაქვს და საჭიროა, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ვაჭრობის გაუმჯობესებას, რადგან მარტო ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და „ცენტროსოიუზს" არ ძალუძთ თავი გაართვან ამ საქმეს ცენტრიდან.

იყო არევდარევა ფასებში იმ მხრივ, რომ საგასაცემო ფასებს ამტკიცებდა მთავრობა, ხოლო საცალო ფასებს ადგილებზე აწესებდნენ სავაჭრო განყოფილებანი, რაიონული სამომხმარებლო საზოგადოებანი და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებანი საგასაცემო ფასზე დარიცხვათა დაწესებით ზედნადები ხარჯებისათვის, ტრანსპორტის ხარჯებისათვის და სხვ. ამ ნიადაგზე ხშირად ხდებოდა ბოროტმოქმედება, რამდენი კალკულატორია საჭირო, რომ ყოველივე ეს სწორად იქნას კალკულირებული?

ახლა საქმე უკვე გამოსწორდა იმით, რომ მეტ წილ საქონელზე მთავრობამ დააწესა მტკიცე საცალო ფასები და მომხმარებელს შეუძლია ფასები შეამოწმოს ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პრეისკურანტების მიხედვით, რომელთა შეცვლის უფლება არავის არა აქვს.

არევდარევა იყო აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის საგასაცემო ფასებში, რის გამო მრეწველობას ზოგიერთი სახის ფართლეულში ჰქონდა ზემოგება, ხოლო სხვა სახისაში—დიდი გეგმითი ზარალი. სამეურნეო მუშაკები ცდილობდნენ გადამეტებით შეესრულებინათ მომგებიანი ასორტიმენტი და არ შეესრულებინათ წამგებიანი, ხოლო წამგებიანი ასორტიმენტი ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ზემომგებიანი.

ახლა ყოველივე ეს გამოასწორა მთავრობამ.

ჩვენში გატაცებული არიან დიდი უნივერსალური მაღაზიებით. უნდათ ჰქონდეთ უნივერსალური მაღაზიები იმაზე უფრო დიდი, ვიდრე ამერიკაშია, ასეთი მაღაზიები კი აქამდე ჩვენ არ გამოგვადგება. ჩვენ უნდა გვქონდეს უფრო მეტი საშუალო და წვრილი მაღაზიები, გაფანტულნი ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიებზე.

საქონელბრუნვა ჩვენში გაიზარდა 178%-ით, ხოლო მაღაზიების ქსელი გაიზარდა მხოლოდ 25%-ით. ეს ცოტაა. საჭიროა მეტი რაოდენობით ავაშენოთ დუქნები.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სავაჭრო საწყობების მხრივ. მიუხედავად საქონელბრუნვის უდიდესი ზრდისა, საწყობთა ქსელი ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ 35%-ით გაიზარდა. საწყობები ცოტაა, საქონელი ინახება არა იქ, სადაც საჭიროა, ზოგჯერ ფუჭდება, საწყობების ნაკლებობა ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას და მტაცებლობას.

დაშორებულ ცენტრებში საწყობები განსაკუთრებით საჭიროა იმისთვის, რომ ვიქონიოთ საქონლის მარაგი იმ შემთხვევისათვის, თუ საქონლის მიღება დაგვიანდა, იმისათვის, რომ შევარჩიოთ ასორტიმენტი, მოვამარაგოთ მაღაზიები და მოვაგვაროთ შეუფერხებელი ვაჭრობა.

ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ გასულ წელს მიაქცია ჩვენი ყურადღება იმას, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და „ცენტროსოიუზი" ამჯობინებენ ივაჭრონ ცენტრალურ რაიონებში და გაურბიან საქონლის შეზიდვას პროვინციაში. ჩვენს პროვინციაში კი მეტად მნიშვნელოვანი საქმეები კეთდება, ამ პროვინციაში არის მრავალი სამრეწველო საწარმო, იქ მოჰყავთ პური და ტექნიკური კულტურები.

ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს სპეციალურ დადგენილებაში ამის შესახებ ნათქვამი იყო: „სოფლის მეურნეობის, როგორც მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის, ისე ტექნიკური კულტურების პროდუქციის გაძლიერებული ზრდის მეოხებით, გლეხური მოსახლეობის მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონელზე დღეობით კი არა, არამედ საათობით იზრდება. ამავე დროს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და განსაკუთრებით „ცენტროსოიუზის" ორგანოები უგულვებელჰყოფენ სოფელს და ცალკეულ ცენტრებს, არ იცნობენ სოფლის მოთხოვნილებებს და გაურბიან იქ საქონლის შეზიდვას".

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და საერთოდ ვაჭრობის, განსაკუთრებით სოფლად და დაშორებულ ცენტრებში ვაჭრობის გასაუმჯობესებლად, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისთვის, რომ სავაჭრო მუშაკთა არმიამ ბოლშევიკურად იწყოს მუშაობა.

### საგარეო ვაჭრობის საკითხები

ამხანაგებო, ნება მომეცით რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო საგარეო ვაჭრობის საკითხებზე.

საერთაშორისო ვაჭრობამ საფუძვლიანი ცვლილებები განიცადა, რომლებიც მოხდა კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობის გამო, რაც ამხანაგმა სტალინმა დაგვისურათა თავის მოხსენებაში. ქვეყნების ერთი ნაწილი, როგორც მაგალითად, გერმანია, იტალია და სხვ. უკვე გადავიდა ომის დროის ეკონომიკაზე. სხვა ქვეყნები, ვალუტით მდიდარი ქვეყნები, ცალკეულ ნაბიჯებს სდგამენ ამ მიმართულებით და ამავე გზით მიდიან. ბევრმა ქვეყანამ აკრძალა თავისი ვალუტის გატანა და უცხოეთის ვალუტაზე

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 64 (5464)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

## ამხ. ა. მიქოიანის სიტყვის დასასრული

მისი გადაცვლის თავისუფლება, იძულებს რა გაყიდვისაგან მიღებული მოგება დახარჯონ ამავე ქვეყანაში, ხოლო თუ არ დახარჯავენ, გაყინული დასტოვონ ბანკებში, ე. ი. დააფინანსონ ეს ქვეყანა.

ახლა უკვე ვაჭრობენ არა მარტო ბირჟები, კონცერნებსა და ფირმებში, არამედ ვაჭრობენ ბურჟუაზიულ მთავრობათა მინისტრების კაბინეტებში. ახლა უკვე არა იმდენად კერძო ფირმების კონკურენცია სწყვეტს საკითხს, თუ რომელმა საქონელმა, რა ადგილი უნდა დაიკავოს ბაზარზე, რამდენადაც ამას სწყვეტენ ფარული და აშკარა სახელმწიფო ღონისძიებანი და საექსპორტო და საიმპორტო კონტინგენტების შესახებ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებანი— ვინ, რამდენი და რა საქონელი უნდა შემოზიდოს.

აქედან გამომდინარეობს საგარეო ვაჭრობის საკითხების სულ უფრო-დაუფრო მკვეთრად გადაზრდა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში.

ჩვენს საგარეო ვაჭრობაში იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ იმას, თუ საგარეო ვაჭრობის როგორი რეჟიმია დაწესებული ამა თუ იმ ქვეყანაში და როგორი პოლიტიკური ურთიერთობა არსებობს სსრ კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის, ვინაიდან სავაჭრო ურთიერთობა, მისი ხასიათი და მოცულობა პირდაპირ დამოკიდებულია პოლიტიკურ ურთიერთობაზე. აქედან გამომდინარეობს იმ სავაჭრო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა სხვადასხვაგვარი ხასიათი, რომლებიც დადებულია სსრ კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის.

ამ ბოლო დროს ჩვენ დავდევით მთელი რიგი ხელშეკრულებანი. კერძოდ, მოლაპარაკება, რომელიც ერთი წლის განმავლობაში სწარმოებდა სსრ კავშირსა და იტალიას შორის, ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა იმით, რომ ხელმოწერილ იქნას შეთანხმება ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვის მოცულობის შესახებ. დადებულია აგრეთვე სავაჭრო ხელშეკრულება ჩვენს ქვეყანასა და პოლონეთს შორის.

სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირში ძირფესვიანად შესცვალა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ხასიათი. როგორია ეს ცვლილებანი?

პირველ ხუთწლედში ჩვენი საგარეო ვაჭრობისა და საგადამხდელო ბალანსი დაძაბული იყო. 1928 წლიდან 1932 წლამდე ჩათვლით საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბალანსმა მოგვცა პასივი 465,5 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით, ხოლო შემდგომ ხუთ წელიწადში 1933 წლიდან 1937 წლამდე ჩათვლით ჩვენ გვქონდა 455,3 მილიონი ამერიკული დოლარი აქტიური სალდო. წინათ, როცა ჩვენ ვალუტით ღარიბნი ვიყავით, ხშირად მეტად დიდპროცენტიან კრედიტს ვიღებდით სხვადასხვა ბანკებისაგან, ფირმები დიდ პროცენტებს გვახდევინებდნენ, ბევრი მათგანი ამ პროცენტებით გამდიდრდა. ჩვენ ახლა უკვე არა თუ აღარ ვსარგებლობთ ასეთი კრედიტებით, არამედ დიდი პროცენტები რომ არ გვეხადნა მათში, შევეცადეთ ვადამდე გაგვესტუმრებინა ეს კრედიტები. ჩვენ ვიწყეთ მეტწილად ნაღდ ფულზე ყიდვა, რათა ზედმეტი ფასი არ გადავიხადოთ. ჩვენ ახლა ხშირად უარს ვამბობთ კრედიტებზე, რომლებსაც გვთავაზობენ, ხოლო ვიღებთ მათ მაშინ, როცა ამ კრედიტებს იაფად და ხანგრძლივი ვადით იძლევიან.

იმ პერიოდში, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ჩამორჩენილნი და ღარიბნი ვიყავით, ჯერ კიდევ არ გვქონდა საკუთარი განვითარებული მანქანათმშენებლობა, ხოლო ინდუსტრიის აშენება საჭირო იყო, რადაც უნდა დაგვჯდარიყო, ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეტანა საზღვარგარეთ დიდძალი ნედლეული და საკვები პროდუქტი, რომლებიც ჩვენ თვითონ გვესაჭიროებოდა, და გვქონდა იმისთვის, რომ გვეშოვა ვალუტა, ხოლო ვალუტით გვეყიდა დაზგები მრეწველობისათვის, მოწყობილობა სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნებისათვის.

ჩვენ გვქონდა, მაგალითად, 1933 წელს 37,2 ათასი ტონა ერბო-კარაქი, 23.300 ტონა მცენარეული ზეთი, 19 ათასი ყუთი კვერცხი, 2,3 ათასი ტონა ბეკონი და 5 ათასი ტონა ფრინველი.

ჩვენ ახლა არ გაგვაქვს არც ერბო-კარაქი, არც მცენარეული ზეთი, არც კვერცხი, არც ბეკონი, არც ფრინველი, რადგან ვაფართოებთ შინამოხმარებას და ჩვენს მაღაზიებში მიდის მთელი ნამატი, აგრეთვე ის საუკეთესო ხარისხის პროდუქტები, რომლებიც წინათ საექსპორტოდ მიდიოდა **(ტაში)**.

მიუხედავად ბენზინის, ნავთის, რკინის მადნისა და ზოგიერთი სხვა საქონლის პროდუქციის მნიშვნელოვანი **ზრდისა**, მათი ექსპორტი შემცირებულია ან სრულიად შეწყვეტილია. ეს საქონელიც შინამოხმარებაზე მიდის.

ახლა სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქვეყანა იმდენად გამდიდრდა, რომ შეუძლია თავისთვის დაიტოვოს ყოველივე, რაც საჭიროა, ხოლო გაიტანოს მხოლოდ ნაჭარბი.

ჩვენი ქვეყანა ახლა იმდენად ძლიერია ეკონომიურად, რომ მას უიმპორტოდაც შეუძლია ძირითადად დააკმაყოფილოს თავისი საჭიროებანი. იმპორტს ჩვენ უმთავრესად ვიყენებთ ამა თუ იმ დარგის უფრო გაძლიერებული განვითარებისათვის, ვიდრე ჩვენი შესაძლებლობანი დღეს ამის საშუალებას იძლევიან.

ჩვენი იმპორტის ხასიათიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან მასში სჭარბობს სამანქანო მოწყობილობისა და დაზგების შემოზიდვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მაგალითად, 1928 წელს შემოზიდული სამანქანო მოწყობილობის ხვედრითი წონა ამ მოწყობილობის საბჭოთა საშინაო წარმოების მიმართ შეადგენდა 43%-ს, ხოლო ახლა 1937-1938 წელს შემცირდა 0,94%-მდე, და არა იმდენად იმპორტის შემცირების გზით, რამდენადაც მანქანებისა და დაზგების საბჭოთა საშინაო წარმოების გაფართოების გზით.

ეს ამტკიცებს სსრ კავშირის ეკონომიკის გიგანტურ გაქანებებს, რომელნიც მოწმობენ, რომ ჩვენ ნამდვილად ინდუსტრიული ქვეყანა ვართ და უდიდესი მასშტაბით ვამზადებთ მანქანებსა და დაზგებს.

კაპიტალიზმის ქვეყნებში კრიზისი იწვევს ექსპორტისა და იმპორტის შემცირებას. ჩვენში კი ადგილი აქვს ექსპორტისა და იმპორტის რამდენადმე შემცირებას გაფართოებული მოხმარების ბაზაზე წარმოების გადიდების მეოხებით. მაგალითად, შავი ლითონების იმპორტი 908 ათასი ტონიდან 1932 წელს შემცირდა 145 ათას ტონამდე 1938 წელს. ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ნაკლებ ლითონს ვხმარობთ. არა, ლითონის მოხმარება ჩვენში ძალზე გაიზარდა. საქმე იმაშია, რომ გაიზარდა აგრეთვე ლითონების საბჭოთა წარმოება. ნატურალური კაუჩუკი ჩვენ შემოგვაქვს ცოტა უფრო ნაკლები, ვიდრე 1928-1929 წლებში, ხოლო კაუჩუკის მოხმარება რამდენჯერმე გაიზარდა.

ანდა ავიღოთ ჩაი, რომლის იმპორტიც შემცირდა. 1932 წელს ჩვენ 15.900 ტონა შემოგვქონდა გასულ, 1938 წელს კი მხოლოდ 13.000 ტონა შემოვიტანეთ. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში ჩაის მოხმარება არ შემცირებულა, — იგი ძლიერ გაიზარდა და, როგორც აქ ამხანაგი ჩარკვიანი მოგვითხრობდა, როდესაც ჩაის ყველა დარგული ბუჩქი სრულ მოსავალს მოგვცემს, ჩვენ შევწყვეტთ ჩაის შემოტანას და ვალუტის ხარჯვას მის საყიდლად. 1932 წელს ჩაის მოხმარება 16.500 ტონას უდრიდა, აქედან საბჭოთა ჩაი მხოლოდ 600 ტონა იყო, ხოლო 1938 წელს ჩაის მოხმარება 20 ათას ტონას შეადგენდა, აქედან 7 ათასი ტონა საბჭოთა ჩაი იყო. ამხ. ჩარკვიანი კი ამბობდა, რომ მესამე ხუთწლედის დასასრულს ისინი აპირებენ მოგვცენ 20 ათასი ტონა საბჭოთა ჩაი მარტო საქართველოდან, მაგრამ ჩაი ხომ აზერბაიჯანშიც მოჰყავთ.

ახლა ჩვენ გვაქვს საკუთარი ჩაი, ამასთან ჩვენი ჩაი ისეთივეა, უფრო უკეთესი და უფრო გემრიელიც, ვინაიდან ეს არის საბჭოთა ჩაი, ჩვენი მშობლიური ჩაი და არა საზღვარგარეთული. **(ტაში)**.

ასევე ნაკლებს ვყიდულობთ საზღვარგარეთ ციტრუსოვანთა ნაყოფს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვამცირებთ მოხმარებას, ჩვენში მოხმარება წლითიწლობით იზრდება, არამედ იმიტომ, რომ ვღებულობთ მზიური საქართველოდან. ჩვენ გვაქვს ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის აყვავებული ბაღები, რომლებმაც 1938 წელს მოგვცეს 240 მილიონი ცალი, ხოლო 1939 წელს ნახევარ მილიარდამდე ცალს მოგვცემენ და რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც დარგული ხეები გაიზრდებიან, შეიძლება 2 მილიარდზე მეტი ციტრუსოვანი ნაყოფი მივიღოთ იქიდან, სადაც წინათ გაბატონებული იყვნენ კოღოები და მალარია და სადაც გამეფებული იყო სოფლის სიღატაკე. ქართველმა კომუნისტებმა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მეთაურობით საუცხოო მუშაობა ჩაატარეს დასავლეთ საქართველოში, სადაც უკვე ახლა ცალკეული კუთხეები კალიფორნიაზე უკეთესია, და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გვექნება ჩვენი საბჭოთა კალიფორნია, ამერიკულზე უკეთესი. **(ტაში)**.

ჩვენ ვცვლით საგარეო ვაჭრობის მუშაობის მეთოდებს გაუმჯობესების მხრივ, კერძოდ, ვცვლით დაგეგმვის მეთოდებს.

უკვე ბოლო მოეღო საგარეო ვაჭრობის დანაგვიანებას ჯაშუშურ-მავნებლური ელემენტებით, რომლებმაც სახელმწიფოს სახსრები ტროცკისტ არამზადების გამოსაკვებად გამოიყენეს.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყველა ორგანოში ყოველ თანამდებობაზე საზღვარგარეთ იყვნენ შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლების ბოლომდე ერთგული, საბჭოთა კავშირის ღირსეული წარმომადგენლები და რომ ისინი წარმოადგენდნენ მიუვალ ციხე-სიმაგრეს კაპიტალიზმისათვის, მისი გამხრწნელი მუშაობისათვის, უცხოეთის დაზვერვათა ჯაშუშური ზრახვებისათვის.

ჩვენ საზღვარგარეთ სამუშაოდ ვარჩევთ ჩვენი სამშობლოს ისეთ ერთგულ შვილებს, რომ შეგვეძლოს ვიამაყოთ საბჭოთა საზღვარგარეთელი მუშაკებით. **(ტაში)**.

### კადრების შერჩევა და შესრულების შემოწმება

ამხანაგებო, ჩვენი პარტიის წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ის, რაც ახლა გვაქვს, ჩვენ რომ უკეთ გვემუშავნა, პარტიის ორგანიზაციული მუშაობა რომ მთლიანად ყოფილიყო იმ დონეზე, რომელზედაც იმყოფება ჩვენი პარტიის პოლიტიკური ხაზი.

ვლადიმერ ილიას-ძე მუდამ ამბობდა, რომ მუშაობაში, თუ სწორი ხაზია აღებული, მთავარია კადრების შერჩევა და შესრულების შემოწმება. ამასვე მიგვითითებს ჩვენ ამხანაგი სტალინი.

ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVII ყრილობაზე თავის მოხსენებაში სპეციალური კარი მიუძღვნა შესრულების შემოწმებას და კადრების შერჩევას. ეს უბრალო კარი კი არ არის მოხსენებისა, ეს არის მთელი მოძღვრება ორგანიზაციულ საკითხზე, ეს არის ბოლშევიზმის ორგანიზაციული მეცნიერება.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ბოლომდე ბოლშევიკურად მუშაობა. ბოლშევიკურად მუშაობის მარტო სურვილი ცოტაა. საჭიროა ხელახლა აღზარდო შენი თავი, საჭიროა შეიმუშაო ხასიათი, რათა, თუ შემოწმებაა, სისტემატიური იყოს.

აი, რა სთქვა ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVII ყრილობაზე: „მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი ხაზი, მას შემდეგ, რაც მოცემულია საკითხის სწორი გადაჭრა, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, ბრძოლის ორგანიზაციაზე პარტიის ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის, ადამიანების სწორად შერჩევაზე, ხელმძღვანელ ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე. უამისოდ პარტიის სწორი ხაზი და სწორი გადაწყვეტილებები შეიძლება სერიოზულად დაზარალდეს. უფრო მეტი: მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, ორგანიზაციული მუშაობა სწყვეტს ყველაფერს, მათ შორის თვით პოლიტიკური ხაზის ბედსაც,—მის შესრულებას ან მის ჩაშლას.. ორგანიზაციულ მუშაობაში თავიდათავია — **ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება**“.

ნამდვილად რომ ვუხელმძღვანელოთ, საჭიროა არა მარტო მოვამზადოთ საკითხის სწორი გადაჭრა, არამედ მივიღოთ კიდევაც ზომები შესრულების უზრუნველსაყოფად, მივანდოთ შესრულება სათანადოდ შემოწმებულ ადამიანებს, შევამოწმოთ შესრულების მიმდინარეობა, ჩავერიოთ შესრულების მსვლელობაში, შევიტანოთ სათანადო შესწორებანი, თუ ამას საჭიროება გვიკარნახებს, ვიდრე საქმე ბოლომდე არ არის გაკეთებული.

ჩვენში კი ხშირად ასე ხდება: დასწერენ კარგ გადაწყვეტილებას (კარგი გადაწყვეტილების დაწერა— ეს, რა თქმა უნდა, დიდი საქმეა), შემდეგ გადადიან სხვა კარგ გადაწყვეტილებაზე, ხოლო თუ როგორ მიმდინარეობს პირველი გადაწყვეტილების შესრულება—ეს არ აინტერესებთ.

კარგი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის შესრულებით—ეს ამაო გასროლაა. პრაქტიკაში ხშირად გადაწყვეტილება ამაო გასროლად იქცევა იმიტომ, რომ გადაწყვეტის დროს არ არის მიღებული ზომები შესრულების უზრუნველსაყოფად, არა აქვთ მიღებული ინსტრუქციები შემსრულებლებს, არ სწარმოებს შესრულების შემოწმება შესრულების პროცესში.

ასეთი პრაქტიკა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კადრებს აფუჭებს. ვინაიდან ისინი ეჩვევიან ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობას ან არაზუსტად შესრულებას. რა ბოლშევიკური მუშაობაა, თუ გამოაქვთ კარგი გადაწყვეტილება და ცხოვრებაში არ ატარებენ? გამოდის, რომ სიტყვა სხვაა და საქმე სხვა. ამხანაგი სტალინი კი ჩვენ გვასწავლის, რომ ბოლშევიკის სიტყვასა და საქმეს შორის არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს, სიტყვა და საქმე სავსებით უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს, ხოლო თუ ჩვენ შესრულების შემოწმებას არ უზრუნველვყოფთ, სიტყვა საქმეს დაშორდება აუცილებლად.

მაგალითად, როგორ ამოწმებენ ადამიანებს? ამოწმებენ ანკეტას — მორჩა და გათავდა. მართალია, ანკეტა საჭიროა, მაგრამ განა შეიძლება ადამიანის შემოწმება მარტო ანკეტით? შესრულების კარგი, სისტემატური შემოწმება კი დაგვანახვებს, თუ ვინ მუშაობს კარგად, ვინ არის ზარმაცი, ვინ არის კეთილსინდისიერი, ვინ არის მესაბოტაჟე და ბიუროკრატი, ვინ არის პატიოსანი, ვინ არის ნიჭიერი და ვინ არის უიმედო, ვინ უნდა დავაწინაუროთ და წავახალისოთ და ვინ უნდა მოვიშოროთ თავიდან.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში პარტიას განსაკუთრებული წარმატებები აქვს ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, იმაში, რომ პარტიის ორგანიზაციული მუშაობა აყვანილ იქნას პოლიტიკური ხაზის დონემდე. ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სავსებით ამოვფხვრით ორგანიზაციული მუშაობის ჩამორჩენა პოლიტიკური ხაზისაგან. მაგრამ პარტიის მიერ ამ დარგში მიღწეულმა წარმატებებმა, ამხანაგ სტალინის მიერ პარტიის XVII ყრილობაზე კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების შესახებ მოცემულ მითითებათა თანამიმდევრობითა განხორციელებამ, — უნდა უზრუნველჰყოს ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის დაყენება განვითარების იმავე მაღალ საფეხურზე, რომელზედაც აყვანილია პარტიის პოლიტიკური ხაზი.

ამხანაგებო, ახლა ჩვენ ვერავითარი წარმატება ვერ გაგვაკვირვებს. ახლა ჩვენს ხალხს ვერაფრით ვერ გააკვირვებ და ვერაფრით ვერ დააშინებ. იბადება კითხვა, რატომ არის ეს? იმიტომ, რომ ისტორიამ გაგვანებივრა გამარჯვებებით. ვის უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ მრავალმილიონიანი ქვეყანა ერთ მთლიან, სრულიად უძლეველ სოციალისტურ სახელმწიფოდ გაერთიანდა? ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ კაცობრიობის უდიდეს გენიოსს, ლენინს, რომელმაც არა მარტო შესძლო მთელის თანამიმდევრობით გამოეყენებინა რუსეთში მარქს-ენგელსის რევოლუციური თეორია, არამედ განევითარებინა იგი, შეევსო მოძღვრებით პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

ჩვენ ლენინს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ მან ამხანაგ სტალინთან ერთად გამოაწრთო ბოლშევიკების პარტია ცარიზმთან ბრძოლაში, ბოლშევიკური შეურიგებლობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით აღზარდა იგი, სათავეში ჩაუდგა ოქტომბრის გადატრიალებას, უზრუნველჰყო გამარჯვება სამოქალაქო ომში და დანგრეული მეურნეობის აღდგენაზე გადასვლა.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებას, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, უნდა ვუმადლოდეთ ლენინის საქმის ღირსეულ განმგრძობს — დიდ სტალინს, რომელმაც ლენინის კუბოსთან, პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით, წმინდა ფიცი დასდო, რომ მაღლა დავიჭერთ კომუნიზმის დიად დროშას, ბოლომდე ვიქნებით ლენინის ანდერძის ერთგული და დაუღალავად განვავითარებთ ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს. **(ტაში)**.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამხანაგი სტალინი და მთელი პარტია, რომელსაც იგი სათავეში უდგას, წმინდად და ურღვევად ასრულებენ მის მიერ დადებულ ფიცს! **(ტაში)**.

განუზომელად დიდია ამხანაგ სტალინის დამსახურება იმაში, რომ მან განავითარა და შეავსო ლენინის მოძღვრება სოციალისტური საზოგადოების აშენების ეპოქაში ისევე, როგორც ლენინმა განავითარა და შეავსო მარქსის მოძღვრება პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში. ამხანაგმა სტალინმა მეცნიერულად დაასაბუთა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობა, მან შექმნა მოძღვრება სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ, მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოსა და სოციალისტური ინტელიგენციის შესახებ. კომუნიზმის შესახებ მოძღვრება ჩვენში სამართლიანად ითვლება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებად. **(ტაში)**.

უფრო მეტი, ამხანაგმა სტალინმა უზრუნველჰყო რუსეთის რევოლუციის უძნელესი ამოცანის, გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და საკოლმეურნეო წყობილებაში ასმილიონიანი გლეხობის ჩაბმის ამოცანის პრაქტიკულად გადაჭრა.

ისეთი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მიღწევა უმოკლეს ვადაში, რომელზედაც ოცნებობაც კი არ შეეძლოთ კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეებს, იმის მიღწევა, რომ ჩვენმა გლეხობამ, რომელიც საუკუნეობით დაქსაქსულად ცხოვრობდა, სოციალისტურად იწყო ცხოვრება, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ წინ მიგვიძღოდა ლენინის ერთგული და ღირსეული მოწაფე, გენიალური სტალინი. **(ტაში)**.

ამხანაგი სტალინი, ისევე, როგორც ლენინი, წარმოადგენს უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელს. ის არის მთის არწივი, რომელმაც არ იცის ბრძოლაში შიში და რომელსაც ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხალხი გაბედულად მიჰყავს წინ გაუკვალავი გზით კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას!

დიდება და სახელი დიდ სტალინს! **(მქუხარე ტაში. ფეხზე ამდგარი დელეგატები დიდხანს მიესალმებიან ამხანაგ სტალინს შეძახილებით** „დიდ სტალინს ვაშა!“).

## ამხ. ვ. მ. ბაქრაძის სიტყვა

თავის შინაარსიან მოხსენებაში ამხანაგმა მოლოტოვმა გადაგვიშალა წარმტაცი სურათი უდიდესი გამარჯვებებისა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მიაღწიეს სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ჩვენმა გმირულმა ლენინურ-სტალინურმა პარტიამ გადალახა ყველა სიძნელე, სძლია ხალხის მტრების წინააღმდეგობა და უზრუნველჰყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. მეორე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად ჩვენ მივაღწიეთ ექსპლუატატორული კლასების საბოლოო ლიკვიდაციას, მთლიანად მოვსპეთ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის წარმომშობი მიზეზები. ბოლშევიკურმა პარტიამ წარმატებით გადასჭრა სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა — დაამთავრა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და საბოლოოდ განამტკიცა საკოლმეურნეო წყობილება. მეურნეობის სოციალისტური ფორმა გახდა ერთადერთი ფორმა არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც და სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგშიც. მიღწეულია უდიდესი წარმატებანი მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

სსრ კავშირი გადაიქცა მძლავრ და დამოუკიდებელ ქვეყნად, რომელიც უზრუნველჰყოფს მთელ თავის მეურნეობას და თავდაცვის საჭიროებებს მთელი აუცილებელი ტექნიკური შეიარაღებით. სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი სსრ კავშირში, რომლებიც წინათ არსად არ ნახულა და შეუძლებელია სხვა ქვეყანაში, სოციალისტური მეურნეობის განვითარების გაქანება, კულტურის აყვავება და სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება — ეს არის ლენინურ-სტალინური პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვების შედეგი, ეს არის სტალინური ხელმძღვანელობის გამარჯვების გამოხატულება.

იმ დღეებში, როდესაც ჩვენი პარტიის XVIII ყრილობა აჯამებს გასული ხუთწლედის შედეგებს და სახავს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის შემდგომი ბრძოლის უდიდეს პროგრამას, მთელი პარტიის, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთა ყურადღება მიპყრობილია იმისადმი, ვინც მტრებთან ბრძოლაში დაიცვა მარქსიზმ-ლენინიზმი, შემდგომ განავითარა იგი, ვინც უზრუნველჰყო სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, ვინც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს შეუქმნა ბედნიერი, სიხარულით ალსავსე ცხოვრება, ვინც სოციალიზმის ქვეყანა გახადა მძლავრი და უძლეველი — დიდი სტალინისადმი **(ხანგრძლივი ტაში)**.

მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად საბჭოთა საქართველომ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია უდიდეს წარმატებებს სოციალისტური მეურნეობის განვითარების საქმეში, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის საქმეში. საქართველო, რომელიც, ისევე როგორც მეფის რუსეთის მრავალი სხვა განაპირა მხარე, წარსულში განიცდიდა ორმაგ ჩაგვრას — ცარიზმისა და თავისი მემამულე ფეოდალების მიერ, საქართველო, რომელიც წარსულში ცარიზმის გაღატაკებული და უუფლებო კოლონია იყო, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთერთ აყვავებულ რესპუბლიკად. სტალინური ხუთწლედების პერიოდში საქართველოში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები: მანქანათმშენებლობის, ფეროშენადნობთა, ნავთის, აბრეშუმსაქსოვი, საფეიქრო, ჩაის, კეთილშობილი და იშვიათი ლითონებისა და არალითონიან მადნეულთა. მარგანეცის და ქვანახშირის დარგები მთლიანად რეკონსტრუირებულია. მარგანეცის ამოღება მეორე ხუთწლედში გაიზარდა 4,2-ჯერ. საფუძველი ჩაეყარა ნავთის მრეწველობის განვითარებას. ერთიორად გაიზარდა ქვანახშირის ამოღება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს წარმატებები სოფლის მეურნეობის დარგში. განუხრელად ასრულებდა რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებს, საბჭოთა საქართველო, რომელმაც სწორად განსაზღვრა თავისი სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზი, რასაც მას კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები უკარნახებდა, გადაიქცა საბჭოთა კავშირში ერთადერთ რაიონად, რომელიც სამრეწველო მასშტაბით აწარმოებს საბჭოთა კავშირისათვის ისეთ აუცილებელ პროდუქტებს, როგორიცაა ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, მაღალხარისხოვანი თამბაქო, იშვიათი ჯიშის ხეები: ტუნგო, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტი და მრავალი სხვა. სპეციალური ტექნიკური კულტურები, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურებას შეადგენენ, კიდევ უფრო მეტად განვითარდებიან მესამე ხუთწლედში.

ჩაის პლანტაციების ფართობი მეორე ხუთწლედის დამლევს 1932 წელთან შედარებით გაიზარდა 63,5 პროცენტით. ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი ამავე პერიოდში გაიზარდა 17-ჯერ.

საქართველოს სს რესპუბლიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია კულტურის დარგში. დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა გადიდდა 32 პროცენტით, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა რაოდენობა — 14 პროცენტით. შექმნილია 26 ახალი თეატრი, 235 მოძრავი ხმოვანი კინო, 265 კლუბი, 418 მასობრივი ბიბლიოთეკა.

ცნობილ ძველ კურორტებთან — ბორჯომთან, აბასთუმანთან, გაგრასთან ერთად შექმნილია ახალი კურორტები, როგორიცაა წყალტუბო და სხვ., რომლებსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

საქართველოს მეურნეობისა და კულტურის სწრაფი ზრდა ისახება, როგორც სარკეში, ბიუჯეტის ზრდაში. საქართველოს სსრ ბიუჯეტი 1932 წლის 240,8 მილიონი მანეთიდან 1938 წელს გაიზარდა 1.089,6 მილიონ მანეთამდე, ამასთან კულტურაზე გაწეული ხარჯები 1932 წლის 109,3 მილიონი მანეთიდან 1938 წელს გაიზარდა 728,6 მილიონ მანეთამდე, ანუ თითქმის 7-ჯერ.

დიდი შედეგებია მიღწეული მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში. საქართველოს მეცხოველეობისათვის მავნებლების მიერ მიყენებული ზარალი მნიშვნელოვნად ანაზღაურებულია. 1938 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იყო 1.752.000 სული, ნაცვლად 1913 წლის 1.301.000 სულისა, ცხვარი და თხა — 1.952.000 სული, ნაცვლად 1913 წლის 1.854.000 სულისა. ცხენების რაოდენობა 1913 წელთან შედარებით გადიდდა 39 პროცენტით.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საბოლოოდ გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. საკოლმეურნეო წყობილებამ საქართველოს გლეხობას მოუტანა ბედნიერება, შეძლებულობა, კულტურა. საქართველოს სოფლები დაამშვენა კოლმეურნეთა ახალმა ფართო და მოხერხებულმა სახლებმა, ახალმა სკოლებმა, თეატრებმა, კლუბებმა, საბავშვო ბაღებმა და საავადმყოფოებმა. საქართველოს ბედნიერი კოლმეურნეები მღერიან სოციალისტური შრომის სიხარულზე, მხურვალე სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებაზე იმისადმი, ვინც გამოსჭედა საბჭოთა ხალხის ბედნიერება — დიდი სტალინისადმი **(ტაში)**.

უდიდეს წარმატებებს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ზრდის დარგში ქართველმა ხალხმა მიაღწია იმ ყურადღებისა და დახმარების შედეგად, რომელსაც მას, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებსა და მხარეებს, უწევდა და უწევს საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა კავშირის მთავრობა და პირადად ჩვენი დიდი სტალინი **(ტაში)**.

მესამე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს საქართველოს სსრ მრეწველობის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას. ოთხი სამრეწველო სახალხო კომისარიატის მრეწველობის საერთო პროდუქცია იზრდება თითქმის 80 პროცენტით. ამასთან საერთო პროდუქციის დიდი ზრდა დასახულია ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების ხარჯზე. ბაიხის ჩაის გამოშვება იზრდება 171,6 პროცენტით და აგურის ჩაისა 500,1 პროცენტით. ქვანახშირის ამოღება აყვანილი იქნება 2 მილიონ ტონამდე. 1942 წელს ამოღებული იქნება 2 მილიონი ტონა მარგანეცის მადანი, ნაცვლად 1937 წლის 1.650 ათასი ტონისა. იზრდება სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა — სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების და სხვ. — ქსელი და კონტინგენტი.

სოფლის მეურნეობის ხაზით მესამე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს საქართველოს სსრ სოციალისტური სოფლის მეურნეობის, როგორც სუბტროპიკული კულტურების დარგში სსრ კავშირის ერთადერთი ბაზის, შემდგომ განვითარებას. ჩაის პლანტაციების ფართობი 1942 წელს აყვანილი იქნება 55.000 ჰექტარამდე. ჩაის პლანტაციების ზრდასთან ერთად მთავარი ყურადღება ექცევა მოსავლიანობის გადიდებას. ჩაის მოსავლიანობა 1942 წელს აყვანილი იქნება 2500 კილოგრამამდე ჰექტარზე, ნაცვლად 1938 წლის 2185 კილოგრამისა.

უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დაუსახა საქართველოს ბოლშევიკებს — მივაღწიოთ ჩაის იმპორტის შეწყვეტას და სავსებით უზრუნველვყოთ საქართველოს ჩაით საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება, წარმატებით სწყდება. ჩაის პლანტაციების განვითარების ტემპები ისეთია, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში სსრ კავშირი შესძლებს ჩაის იმპორტის შეწყვეტას. მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის საქართველოს ჩაის მრეწველობა მისცემს საბჭოთა კავშირს არა ნაკლებ 20.200 ტონა ხარისხოვანი ხმელი ჩაისა, ხოლო როდესაც ჩაის პლანტაციების მთელი ფართობი, რომელიც გაშენებული იქნება მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის, დაიწყებს სრული მოსავლის მოცემას, საქართველოს ფაბრიკები გამოუშვებენ არა ნაკლებ 40-45 ათასი ტონა ხმელი ჩაისა. ციტრუსების ნარგავების ფართობი მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის აყვანილი იქნება 25.087 ჰექტარამდე, მათ შორის ლიმონის ნარგავების ფართობი — 7.163 ჰექტარამდე. ყველა ციტრუსოვანთა საერთო პროდუქცია მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის შეადგენს ციტრუსთა არანაკლებ 850-900 მილიონი ცალი ნაყოფისა, მათ შორის 50-მდე მილიონ ცალ ლიმონს. როდესაც მთელი ის ფართობი, რომელზედაც ციტრუსები გაშენებული იქნება მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის, მოგვცემს სრულ მოსავალს, საქართველოს კოლმეურნეობები მოჰკრეფენ მილიარდობით ციტრუსოვან ნაყოფებს.

ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო თავის შესანიშნავ გამოსვლაში ამხ. მიქოიანმა აღნიშნა, რომ ჩვენ ვფრთხილობთ და არ ვასახელებთ ციფრს — ციტრუსების რამდენი ნაყოფი შეგვიძლიან მივცეთ ქვეყანას 1939 წელს.

მან სთქვა, რომ კარგი მუშაობით ჩვენ შეგვეძლო ნახევარი მილიარდი ციტრუსების მოცემა. მე უნდა ვთქვა, რომ ალბათ ჩვენ შევძლებთ ციტრუსების ამ რაოდენობის მოცემას, მაგრამ ამ საქმეში ჩვენ გვჭირდება ერთგვარი დახმარება.

საქმე იმაშია, რომ იმისათვის, რომ ციტრუსების ასეთი მაღალი მოსავალი მივიღოთ, გვჭირდება მინერალური სასუქები, მეორე — საჭიროა ციტრუსების ნაყოფთა დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარება, მესამე — საჭიროა ციტრუსების ნაყოფის მიღებისა და გადამუშავებისათვის სათანადო ტექნიკური ბაზის მოწყობა.

სსრ კავშირის მიწსახკომმა წელს ჩვენთვის გამოჰყო მინერალური სასუქების არასაკმაო რაოდენობა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენ დამატებით დაგვჭირდება არა ნაკლებ 15.000 ტონა მინერალური სასუქისა. გარდა ამისა, საჭიროა შესაწამლი მასალების და პრეპარატების საკმაო რაოდენობით გამოყოფა ვერცხლისფერი ტკიპით ციტრუსების დაავადების სრული ლიკვიდაციისათვის.

ჩვენ არა გვაქვს სათანადო ტექნიკური ბაზა. წელს ჩვენ ძლივს შევძლებთ 250 მილიონი ციტრუსების მიღება და დამუშავება. ტექნიკური ბაზის გარეშე ჩვენ ვერასგზით ვერ შევძლებთ ნახევარი მილიარდი ციტრუსების მიღებას, ხოლო არც „ცენტროსოიუზი“, არც სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი არ იღებენ ზომებს ისეთი ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, რომელიც უზრუნველჰყოფს ციტრუსების ნორმალურ მიღებას.

ჩვენი ანგარიშით, საჭიროა მინიმუმ 5-6 მილიონი მანეთი იმისათვის, რომ გაიშალოს მთელი რიგი შემფუთავი ქარხნებისა და დამამზადებელი პუნქტების მშენებლობა და ამით უზრუნველყოფილ იქნას ციტრუსოვანთა ნახევარი მილიარდი ნაყოფის ნორმალური მიღება და გადამუშავება.

ტუნგოს ნარგავების ფართობი 1942 წელს აყვანილი იქნება 18.139 ჰექტარამდე. კეთილშობილი დაფნის ფართობი აყვანილი იქნება 4.370 ჰექტარამდე. საქართველო ერთადერთი რაიონია, რომელიც საბჭოთა

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

# საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

# ამხ. ვ. მ. ბაქრაძის სიტყვა

დასასრული

კავშირის მთელ კვების მრეწველობას ამარაგებს კეთილშობილი დაფნით. ჩვენ დავისახეთ ამოცანა — გავაფართოოთ დაფნის კულტურის პლანტაციები იმ ანგარიშით, რომ მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის სავსებით უზრუნველვყოთ სსრ კავშირის კვების მრეწველობის მოთხოვნილება კეთილშობილ დაფნაზე.

სსრ კავშირის საპარფიუმერო მრეწველობის უზრუნველყოფისათვის ეთეროვანი ზეთებით, მნიშვნელოვნად დიდდება ეთეროვანზეთოვანი კულტურების პლანტაციები.

1942 წლისათვის ვენახების ფართობი აყვანილი იქნება 68.250 ჰექტარამდე, ნაცვლად 1937 წლის 43.000 ჰექტარისა. ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ყურძნის შამპანური ჯიშების განვითარებას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად 1942 წელს საქართველო მისცემს ქვეყანას 4 მილიონ ბოთლს მაღალხარისხოვან საბჭოთა შამპანურს.

ამხ. მიქოიანის გამოსვლის საპასუხოდ მე ვაცხადებ, რომ ჩვენ ყველა ზომებს მივიღებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი საბჭოთა შამპანური იყოს ფრანგულ შამპანურზე არა თუ ნაკლები, არამედ ბევრად უფრო უკეთესი (ტაში).

საქართველოში მოგვყავს მაღალხარისხოვანი ხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, რომლებიც ხმარდება საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მესამე ხუთწლედში, ხეხილის ნარგავების მოვლის გაუმჯობესებასთან ერთად, იზრდება ხეხილის ბაღების ფართობი 81.400 ჰექტარამდე, ნაცვლად 1937 წლის 59.000 ჰექტარისა.

დასახულია სუბტროპიკული ხილის — მუშმულას, ხურმის, ფეიხოის და სხვ. ფართო განვითარება, რომელთა ფართობი 1942 წლისათვის გაიზრდება 7.072 ჰექტარამდე, ნაცვლად 1937 წლის 570 ჰექტარისა. ევკალიპტის — ამ შესანიშნავი ხის ნარგავები, რომელიც მეტად ძვირფასია და საჭირო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის, მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის შეადგენს 16 მილიონზე მეტ ცალს.

სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოთა დამთავრებას, რომელზეც თავის მოხსენებაში ლაპარაკობდა ამხანაგი მოლოტოვი. კოლხიდის მიწების ამოშრობა ნებას მოგვცემს გადავაქციოთ ეს დაბლობი ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებითა და ევკალიპტის ხეებით მთლიანად დაკავებულ რაიონად. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სსრ კავშირის მიწსახკომი აჭიანურებს კოლხიდის დაბლობის პირველი რიგის ამოშრობის პროექტის დამტკიცებას, მუშაობა კი დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს. მე ვისურვებდი, რომ ამხ. ბენედიქტოვმა გაითვალისწინოს ეს და უახლოეს დღეებში დაამტკიცოს ტექნიკური პროექტი, რომელიც დიდი ხანია წარდგენილია და მოწონებულია სსრ კავშირის მიწსახკომის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მიერ.

მესამე ხუთწლედში კვლავ გაგრძელდება საქართველოს სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი ზრდა და განმტკიცება. ჩვენი ვარაუდით მესამე ხუთწლედში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა უნდა გადიდდეს 38,3 პროცენტით, ცხვრისა და თხის რაოდენობა — 29 პროცენტით, ღორების სულადობა — 27 პროცენტით, ცხენების სულადობა — 33 პროცენტით. მაგრამ იმ ამოცანათა საფუძველზე, რომელიც თავის მოხსენებაში დაუსახა პარტიას ამხანაგმა სტალინმა მეცხოველეობის განვითარების დარგში, ამ ვარაუდს ჩვენ ვთვლით უკვე არასაკმაოდ. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ჩვენს რესპუბლიკაში პირუტყვის სულადობის უფრო დიდ ზრდას, ჯოგის ბრუნვა გვაძლევს ამის საშუალებას, საჭიროა მხოლოდ მნიშვნელოვანი მუშაობის ჩატარება საკვები ბაზის გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველაზე ვიწრო ადგილს წარმოადგენს ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტი. თავისი ენერგეტიკული რესურსებით საქართველო ერთერთი ყველაზე მდიდარი რაიონია საბჭოთა კავშირში. უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები იაფი ელექტროენერგიის მისაღებად არასაკმარისად არის გამოყენებული. უკანასკნელ ხანებში ელექტროენერგიის ნაკლებობამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ელექტროენერგიის დეფიციტის შედეგად თვეობით გაჩერებულია ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოები, როგორიცაა ფეროშენადნობთა ქარხანა და ამიერ-კავკასიის თითქმის მთელი ელექტროფიცირებული გამწევი ძალა. ქალაქი თბილისი ნახევარმილიონიანი მოსახლეობით ორი მესამედით არ არის განათებული. თბილისის საწარმოთა უდიდესი რაოდენობა მუშაობს ნორმალურად არა უმეტეს 6-7 თვისა წელიწადში. ელექტროენერგიის ნაკლებობა აფერხებს მრეწველობის ზრდას და უდიდეს ზარალს აყენებს სახელმწიფოს. ელექტროენერგიის ნაკლებობის შედეგად 1938 წელს, მინიმალური გამოანგარიშებით, ფეროშენადნობთა ქარხანამ, ამიერ-კავკასიის რკინიგზამ და თბილისის საწარმოებმა იზარალეს 40 მილიონ მანეთზე მეტი. მესამე ხუთწლედის წლებში ელექტროენერგიის დეფიციტი გაიზრდება და 1942 წელს მიაღწევს 392 მილიონ კილოვატ - საათს. ელექტროენერგიის დეფიციტის შესუბუქებისა და მრეწველობისათვის ცოტა თუ ბევრად ნორმალური პირობების შექმნის მიზნით, ჩვენ საჭიროდ ვთვლით, გარდა მშენებლობის პროცესში მყოფ ხრამისა და სოხუმის ჰიდროელსადგურების დამთავრებისა, დაიდგას მეორე აგრეგატი ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელსადგურზე, დამთავრდეს თბილისის თბოელექტროსადგურის მშენებლობა სრულ სიმძლავრემდე, აგრეთვე მესამე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას დიღმის 40-60 ათასი კილოვატის სიმძლავრის ახალი ჰიდროელსადგურის მშენებლობა მდინარე მტკვარზე.

უნდა ვთქვა, რომ აღნიშნული ელექტროსადგურების მშენებლობის განხორციელების პირობებშიც კი, რასაც ჩვენ აუცილებლად საჭიროდ ვთვლით, საქართველოს სსრ მეურნეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი კვლავ საბოლოოდ გადაუწყვეტელი რჩება და მეოთხე ხუთწლედის დასაწყისისათვის ჩვენ გვექნება მნიშვნელოვანი დეფიციტი.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვთხოვთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ თუ არ შეიძლება მესამე ხუთწლედში ნამახვანის დიდი, 250 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელსადგურის მშენებლობის დაწყება ქუთაისის რაიონში, ყოველ შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას ტექნიკური პროექტის შედგენა და მოსამზადებელ სამუშაოთა დაწყება ისე, რომ ეს სადგური აუცილებლად აშენდეს მეოთხე ხუთწლედში.

რაც შეეხება იმ ელექტროსადგურებს, რომლებიც ამჟამად შენდება, უნდა ვთქვა, რომ ისეთი დიდი ჰიდროსადგურის მშენებლობა, როგორიცაა ხრამჰესი, რომლის სიმძლავრეა 90.000 კილოვატი და რომელსაც შეეძლებოდა უზრუნველეყო ჩვენი მდგომარეობა, ჭიანურდება არასაკმაო ყურადღების შედეგად. ეს სადგური უკვე 7 წელია შენდება და ამ 7 წლის განმავლობაში საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან — 126 მილიონი მანეთიდან მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ათვისებული იყო მხოლოდ 52 მილიონი მანეთი, ხოლო 1939 წლისათვის გადადებულია მხოლოდ 16 მილიონი მანეთი. თუ მშენებლობა კვლავაც ამგვარად წავა, ეს სადგური შეიძლება აშენდეს მხოლოდ 1945-1946 წლებში. ამიტომ საჭიროა, რომ ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატმა ამ საქმეს უფრო სერიოზული ყურადღება მიაქციოს და უზრუნველჰყოს ეს დამთავრება არა უგვიანეს 1941 წლისა. საჭიროა ამ სადგურისათვის ასიგნობის მნიშვნელოვნად გადიდება, მასალით, განსაკუთრებით ტრანსპორტით მისი მომარაგების უზრუნველყოფა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გავშალოთ მშენებლობა სრული ტემპებით.

ასეთსავე მდგომარეობაშია სოხუმის ჰიდროელსადგურის მშენებლობა.

რკინიგზების მშენებლობაში, გარდა შავი ზღვის რკინიგზის დამთავრებისა სოხუმიდან ადლერამდე და რკინიგზისა გორიდან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრამდე — ქალაქ სტალინირამდე, საჭიროა მესამე ხუთწლედის გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ტყიბულის რკინიგზის შტოს რეკონსტრუქცია და ჭიათურის შტოს გადაკეთება ფართო ლიანდაგიანად.

რაც შეეხება შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის მიმდინარეობას, უნდა ვთქვა შემდეგი: ამ გზამ, რომლის სიგრძეა 353 კილომეტრი, უნდა შეაერთოს საქართველო და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის ცენტრთან მეორე მაგისტრალით სოჭაზე. არსებულ გზას ეს შეამცირებს 800 კილომეტრით. შენდება იგი 10 წელზე მეტია, ამასთან აშენებულია ნახევარზე ნაკლები. მშენებლობის ტემპები ასეთია: მშენებლობის დამთავრებაზე უნდა დაიხარჯოს 250 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო მიმდინარე წელს ასიგნებულია მხოლოდ 10 მილიონი მანეთი. თუ საქმე ასე გაგრძელდა — მშენებლობა გაგრძელდება, სულ ცოტა, ოც წელს მაინც. ამჟამად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ შესწყდეს გზის მშენებლობა სოხუმის მხრიდან და მშენებლობა დაიწყოს ადლერის მხრიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა ამ გზის გაყვანის დაწყება ორივე მხრიდან — ადლერის მხრიდანაც და სოხუმის მხრიდანაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას გზის მშენებლობის დამთავრება მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის.

ვითვალისწინებდით რა საქართველოს სოფლის მეურნეობაში აზოტოვანი სასუქების მწვავე მოთხოვნილებას, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 1936 წელს დავიწყეთ რიონის აზოტოვანი სასუქების კომბინატის მშენებლობა. ამ მშენებლობაზე დახარჯულია 16 მილიონ მანეთზე მეტი და ამ მდგომარეობაში მშენებლობა კონსერვირებულ იქნა, ვითომდა ნედლეულის ბაზის გამოურკვევლობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ 1938 წელს „გლავაზოტის" სპეციალურმა კომისიამ დაადასტურა კომბინატის მშენებლობის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია და მშენებლობა კონსერვაციის მდგომარეობაში იმყოფება. ამავე დროს კი საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობას არ შეუძლია განვითარება მინერალური სასუქების გარეშე. მიმდინარე წელს საქართველოში შემოტანილი იქნება 50.000 ტონაზე მეტი მინერალური სასუქები, რაც მნიშვნელოვნად ტვირთავს ტრანსპორტს. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მესამე ხუთწლედის გეგმაში შეტანილ იქნას რიონის აზოტოვანი სასუქების კომბინატის მშენებლობის დამთავრება, რომელიც მინერალურ სასუქებთან ერთად მოგვცემს 300.000 ტონაზე მეტს კოქსს, რაც საჭიროა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მეურნეობისათვის. ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირი სავსებით უზრუნველჰყოფს რიონის აზოტოვანი სასუქების კომბინატის მოთხოვნილებას ნედლეულზე.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებს ყოველწლიურად შემოაქვთ ავტომანქანების უდიდესი რაოდენობა, რომელთა გადმოტანა ტვირთავს ტრანსპორტს და მეტად ძვირი ჯდება. დაუშლელი სახით ერთი ავტომანქანის გადმოტანა 180 მანეთზე მეტი ჯდება, თუ არ ჩავთვლით გამყოლთა ხარჯებს, დაშლილი სახით კი ერთ ავტომანქანის გადმოტანა ჯდება 75 მანეთზე მეტი. ჩვენ მიზანშეწონილად და საჭიროდ მიგვაჩნია თბილისში აშენდეს ავტოამწყობი ქარხანა, რომელიც ავტომობილებით მომარაგებს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკას.

საჭიროა მესამე ხუთწლედში აუცილებლად დამთავრდეს ქუთაისის მინის ქარხანა, რომელიც ამჟამად კონსერვირებულია ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო. ამ ქარხანაში ბოთლების, შუშის საკონსერვო ტარის გამოშვებასთან ერთად შეიძლება და საჭიროა ფანჯრის მინის წარმოების მოწყობა.

1935 წელს თბილისის მახლობლად ამუშავდა სამსხმელო ქარხანა 8,5 ათასი ტონა თუჯისა და ფოლადის სხმულის სიმძლავრით. ქარხნის მიერ გამომუშავებული სხმული არ არის გამოყენებული, ვინაიდან საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფარგლებში არ არიან მომხმარებლები, რის გამო ქარხანა დატვირთულია მხოლოდ 25 პროცენტით და დიდ ზარალს განიცდის. იმასთან დაკავშირებით, რომ ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებში გათვალისწინებულია პატარა გადასაკეთებელი ქარხნის მშენებლობა ლითონის ნამტვრევისა და ნარჩენების გამოყენების ბაზაზე ამიერ-კავკასიის რაიონში, ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ თბილისის ქარხანა „ცენტროლიტი" გადაკეთდეს გადამკეთებელ — საგლინავ ქარხნად, რაც მოითხოვს მცირე ხარჯებს და მოგვცემს დიდ ეფექტს. ქარხნის სიმძლავრე განისაზღვრება 45-50 ათასი ტონა ნაგლინის რაოდენობით წელიწადში, რასაც შეუძლია უზრუნველჰყოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოთხოვნილება.

საქართველოში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს მესამე ხუთწლედში ნავთის ამოღების მრეწველობის განვითარება. ჩვენი გეოლოგების გამონგარიშებით საქართველოს სსრ საბადოები შეიცავენ მინიმალურად 415 მილიონ ტონა ნავთს. ჩვენ მოვალენი ვართ ამოვიღოთ ეს ნავთი და მოვახმაროთ სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის საჭიროებას. სსრ კავშირის სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხანაგ კაგანოვიჩი დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოში ნავთის მრეწველობის განვითარების საქმეში. მირზაანის ნავთის საბადოები უკვე გადაცემულია სამრეწველო ექსპლოატაციაში. სწარმოებს ღრმად საძიებელი ბურღვა ნორიოსა და სუფსის რაიონებში, რომლებიც შეიცავენ ნავთის დიდ რაოდენობას. მესამე ხუთწლედში საჭიროა უფრო ფართოდ გაიშალოს ღრმად საძიებელი და საექსპლოატაციო ბურღვა. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ყოველწლიურად ამოვიღოთ არა ათეულ ათასობით, არამედ ასეულ ათასობით და შეიძლება რამდენიმე მილიონობით ტონა ნავთი. 1939 წლისათვის ჩვენ ვისახავთ ამოცანას გადავცეთ სამრეწველო ექსპლოატაციაში ნორიოს და სუფსის ნავთის საბადოები. ამხანაგ კაგანოვიჩის დიდი დახმარებით ეს ამოცანა აუცილებლად უნდა შევასრულოთ.

ამხანაგებო, სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებები, მეურნეობის, კულტურის და ხელოვნების აყვავება არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც, განუყრელად დაკავშირებულია ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის — ამხანაგ ბერიას სახელთან, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს. ამხანაგმა ბერიამ უზრუნველჰყო ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური პარტიის ხაზის და ამხანაგ სტალინის მითითებათა სწორი განხორციელება. მისი ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა გაანადგურეს ხალხის მტრები, უცხოეთის დაზვერვათა ჯაშუშები, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში მოქმედებდნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. მან ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებში აღმოფხვრა ცალკეული ატამანების ბატონობა, ბოლშევიკების რიგები შემჭიდროვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო, რამაც უზრუნველჰყო სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში (ტაში).

უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის გიგანტური სტალინური გეგმა, რომელიც მოცემულია ამხ. მოლოტოვის მოხსენებაში, აუცილებლად იქნება შესრულებული გმირი საბჭოთა ხალხის მიერ ისევე წარმატებით, როგორც წარმატებით იქნა შესრულებული პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედები, როგორც წარმატებით იქნა შესრულებული სტალინური ლოზუნგი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

ამხანაგი სტალინის გენიალურმა მოხსენებამ მთელი ჩვენი პარტია, ჩვენი ქვეყნის მშრომელები შეაიარაღა მძლავრი იარაღით კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. არაფერს და არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს ან შეანელოს ძლევამოსილი მსვლელობა კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის ხალხებისა, რომლებიც შემჭიდროებული არიან ურყევი სტალინური მეგობრობით.

საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი, რომელიც ამხანაგ ბერიას მიერ აღზრდილია ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით, მაღლა ასწევენ მესამე სტალინური ხუთწლედის დროშას და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ იყვნენ პირველ რიგებში სტალინური ლოზუნგის განხორციელებისათვის ბრძოლაში — ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით ჩვენ გავანადგურეთ ხალხის მტრები, ჯაშუშები და მავნებლები და ძირითადად განვახორციელეთ კომუნიზმის პირველი ფაზა—სოციალიზმი. დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენ წარმატებით დავამთავრებთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

გაუმარჯოს კომუნიზმის მედროშეს დიდ სტალინს! **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

# ყრილობის დღიური

## 19 მარტი, დილის სხდომა

ორი დღე ყრილობა იხილავდა ამხ. ჟდანოვის მოხსენებას საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. სულ კამათში გამოვიდა 21 კაცი.

ერთსულოვნად იწონებდნენ რა მოხსენების თეზისებს, დელეგატები დაწვრილებით ჩერდებოდნენ საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში შესატან ცვლილებებზე, აღნიშნავდნენ მათს უდიდეს მნიშვნელობას ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

19 მარტის დილის სხდომაზე პირველი სიტყვა ყრილობის სხდომის თავმჯდომარემ ამხ. შჩერბაკოვმა მისცა უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის ოლქკომის მდივანს ამხ. სერდიუკს.

— მესამე ხუთწლიანი გეგმის გრანდიოზული ამოცანები, — ამბობს ამხ. სერდიუკი, — მოითხოვენ მუშაობის ორგანიზაციული ფორმების შეცვლას, მოითხოვენ სათანადო ცვლილებებს ჩვენი პარტიის წესდებაში.

ამხ. სერდიუკს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ასურათებენ მოხსენების დებულებებს. იგი ლაპარაკობს მტრის ოინებზე, როცა პარტიიდან რიცხავდნენ პატიოსან კომუნისტებს, როდესაც ასობით ცილისმწამებლური განცხადებები შემოდიოდა პატიოსან ადამიანებზე.

ამხ. ორლოვმა (მოსკოვი) უამბო ყრილობას იმის შესახებ, თუ რა უდიდესი პოლიტიკური აქტივობით და ბოლშევიკური გატაცებით იხილავდნენ კომუნისტები ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს. პარტიული კრებები წარმოადგენდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგი სტალინის ირგვლივ პარტიული მასების ურღვევი ერთიანობისა და შემჭიდროების ბრწყინვალე დემონსტრაციას.

ამხ. ორლოვი ყრილობას აცნობს გამოცდილებას საამქრო ნაკეთობათა ქარხნის საიარაღო საამქროს პარტიული ორგანიზაციისას, რომელმაც ჩინებულად შეახამა პარტიული და სამეურნეო მუშაობა.

დიდი ყურადღებით მოისმინა ყრილობამ ამხ. მიტინის (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი) სიტყვა. ამხ. მიტინმა ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგ სტალინის მოხსენების უდიდესი მნიშვნელობა; ამხანაგმა სტალინმა, როგორც შემოქმედებითი მარქსიზმის ნამდვილმა წარმომადგენელმა, მოგვცა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში განვლილი ეტაპის ამომწურავი ანალიზი, თავისი გენიალური აზრის პროჟექტორით გაგვიშუქა გზა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისა. ამხანაგმა სტალინმა წინ წასწია და განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, შექმნა სოციალისტური სახელმწიფოს თეორია.

ამხანაგი სტალინის, მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებებმა კიდევ და კიდევ დაანახვეს მთელს მსოფლიოს ძლიერება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისა, რომელიც გვისახავს სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი განვითარების პერსპექტივებს, რომელიც ყოველმხრივ ამუშავებს მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიის უღრმეს საკითხებსაც და სხვა აუცილებელ ორგანიზაციულ და პრაქტიკულ საკითხებსაც.

ეს მოხსენებანი, — ამბობს ამხ. მიტინი, — კიდევ და კიდევ ცხადჰყოფენ თეორიისა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის, ნებისყოფისა და მოქმედების იმ ერთიანობას, რომელიც წარმოადგენს ლენინ-სტალინის პარტიის განუყრელ თვისებას.

შემდეგ გამოდის პარტიის ტაშკენტის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. იულდაშევი. იგი ლაპარაკობს ბოლშევიზმის ურყევს ორგანიზაციულ პრინციპებზე, იმაზე, რომ საჭიროა შეცვლილ ვითარებაში შეიცვალოს ორგანიზაციული ფორმები. ამხ. იულდაშევს მართებულად მიაჩნია ამხ. ჟდანოვის წინადადება პარტიაში მიღებისას კატეგორიების გაუქმების შესახებ.

მეთაურთა და წითელარმიელთა შემადგენლობის კომუნისტური აღზრდის შესახებ ლაპარაკობს ამხ. ბირიუკოვი (მე-2 ცალკე წითელდროშოვანი არმიის სამხედრო საბჭოს წევრი). აღნიშნავს რა დიდ წარმატებებს მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, ამხ. ბირიუკოვი ჩერდება ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზედაც.

ჩიტის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მურუგოვი თავის სიტყვას მიუძღვნის კადრების საკითხს, იგი ამბობს:

— ჩვენ გვქონდა მთელი რიგი ისეთი საწარმოები, რომლებიც მუდამ ჩამორჩებოდნენ. მაგრამ როდესაც შევარჩიეთ ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ბოლშევიკურად ეხელმძღვანელათ მეურნეობისათვის, საქმე სწრაფად გამოსწორდა.

ტაშით ეგებება ყრილობა ძველ ბოლშევიკ ქალს ამხ. ზემლიაჩკას, იგი ლაპარაკობს სტალინზე — ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობზე. ამხანაგმა სტალინმა განავითარა და განაგრძო ლენინური პრინციპები ორგანიზაციული მუშაობისა, კერძოდ, ლენინური პრინციპი კადრების დაწინაურებისა და გამოზრდისა.

ამხ. ზემლიაჩკა ლაპარაკობს ახალ ხელმძღვანელებზე, რომლებიც მოვიდნენ რკინიგზის ტრანსპორტში. იგი ასახელებს გზის უფროსებს — კრივონოსს, ოგნევს, ზინაიდა ტროიცკაიას, რომლებმაც შესძლეს მოკლე ვადაში მიეღწიათ მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის იმ უბნებზე, რომელთაც ისინი ხელმძღვანელობენ.

ამხ. ნადეჟინმა (სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტსამმართველო) გააშუქა სამხედრო - საზღვაო ფლოტის პარტიული ორგანიზაციების, კომისრებისა და პოლიტორგანოების მუშაობა მისი შემადგენლობის ბოლშევიზაციის დარგში. ამ მუშაობის შედეგმა თავი იჩინა იმ მხრივ, რომ ფლოტის საუკეთესო ადამიანები მიისწრაფვიან პარტიაში.

ამხ. ნადეჟინს შეაქვს პრაქტიკული წინადადებანი წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო. იგი წინადადებას იძლევა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნას სამხედრო განყოფილებანი. იგი საჭიროდ სთვლის ლიკვიდირებულ იქნან თანამგრძნობთა ჯგუფები. ეს ჯგუფები საჭირო არ არიან; კერძოდ, ფლოტში ისინი უსიცოცხლონი აღმოჩნდნენ. პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულ ამხანაგთა რიცხვიდან მხოლოდ 2 პროცენტი გატარდა თანამგრძნობთა ჯგუფებში მაშინ, როდესაც 98 პროცენტი მიღებულია კომკავშირელთა რიცხვიდან.

ამხ. ვიშნიჩენკოს (უკრაინა) მართებულად მიაჩნია ამხ. ჟდანოვის წინადადება პარტიის რიგებში შესვლისას პარტიის პროგრამის შეთვისების მოთხოვნის გაუქმების შესახებ. ეს მოთხოვნა ხშირად უღობავდა პარტიაში შესასვლელ გზას ძვირფას ადამიანებს. პარტიაში მიღების დროს აქა-იქ ეწყობოდა ზედმეტი, ოინბაზური პოლიტგამოცდები. ამხ. ვიშნიჩენკო, იმოწმებს რა ადგილობრივ პრაქტიკას, აცხადებს, რომ პარტიაში შესვლის გაძნელება მისი ერთგული ადამიანებისათვის მტერთა მუშაობის ერთერთი ხერხი იყო.

კომკავშირთან მუშაობის საკითხებს მიუძღვნა ამხ. ხომენკომ (უკრაინა) თავისი ვრცელი სიტყვა. ამხ. ხომენკო მეტად დროულად სთვლის ამხ. ჟდანოვის წინადადებას 18 წლის ასაკიდან პარტიაში მიღების შესაძლებლობის შესახებ. ამ წინადადების განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომკავშირისათვის. ამხ. ხომენკო ამბობს, რომ, პარტიაში მიღების აქამდე არსებულ ნორმათა გამო, ასიათასობით კომკავშირელი რჩება წლითი-წლობით ეგრეთწოდებულ „გადაზრდილთა" კატეგორიაში.

ამხ. ხომენკოს გამოსვლის შემდეგ კამათი სწყდება. თავმჯდომარე ამხ. შჩერბაკოვი იუწყება, რომ, რადგან არავინ საწინააღმდეგო აზრს არ გამოსთქვამს ამხ. ჟდანოვის მოხსენებასა და თეზისებში აღნუსხული დებულებებისა და დასკვნების შესახებ, მომხსენებელი უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე.

ყრილობას ერთხმად გამოაქვს დადგენილება—ამხ. ჟდანოვის თეზისები საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო მიღებულ იქნას საფუძვლად. თეზისების შესწორებათა და დამატებათა განსახილველად და საკ. კ. პ. (ბ) წესდების ტექსტში ცვლილებათა შესატანად ირჩევა კომისია 57 კაცის შემადგენლობით და ამხ. ჟდანოვის თავმჯდომარეობით.

ამით მთავრდება ყრილობის 19 მარტის დილის სხდომა. შემდეგი სხდომა შესდგება 20 მარტს საღამოს 6 საათზე. (საკდესი).

# ინგლისის პრესა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობის შესახებ

**ლონდონი**, 19 მარტი (საკდესი). როგორც „სენდეი ტაიმსის" ბუქარესტელი კორესპონდენტი იუწყება, გერმანიის მთავრობამ გუშინ ვითომ სიტყვა მისცა ბუქარესტს, რომ გერმანიის ჯარის წინსვლა აღმოსავლეთისაკენ „შეჩერდება რუმინეთის საზღვარზე". ეჭვი არაა, ამით გერმანია გულახდილად აცხადებს, რომ იგი აპირებს უნგრეთის ოკუპაციას.

გაზეთ „სენდეი ტაიმსის" ვარშაველი კორესპონდენტი სწერს, რომ პოლონეთისა და უნგრეთის გენერალურ შტაბებს შორის დამყარებულია კონტაქტი.

კორესპონდენტი შემდგომ იუწყება, რომ გუშინ პოლონეთის დიპლომატია ძალიან აქტიური იყო აგრეთვე ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. ეს აქტივობა დაკავშირებულია, კერძოდ, იმასთან, რომ ლიტვაში სულ უფრო ღრმავდება დაძაბული მდგომარეობა, რადგან გერმანია ზეგავლენას ახდენს მასზე კლაიპედის გამო. პოლონეთის, ლიტვისა და ლატვიის არმიებში გაუქმებულია ყოველი სახის შვებულება.

○

**ლონდონი**, 19 მარტი (საკდესი). დღევანდელ გაზეთებში პირველი ადგილი უკავია ცნობებს ინგლისის კაბინეტის გუშინდელი სხდომის შესახებ. ჯერჯერობით მეტად მცირე ცნობებია გამოქვეყნებული. „სენდეი ტაიმსი" სწერს, რომ, მისი ცნობებით, გუშინ ინგლისის მინისტრებს განუხილავთ ჰალიფაქსის წინადადება საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებთან თათბირის დაწყების შესახებ, რათა გამომუშავებულ იქნას ამ სახელმწიფოთა საერთო ხაზი გერმანიის შემდგომი აგრესიის შემთხვევისათვის. თუ ჩამოთვლილ სახელმწიფოთა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, მაშინ სხვა სახელმწიფოებიც მიიღებენ წინადადებას შეუერთდნენ მათ.

გაზეთ „ობსერვერის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ ამჟამად ხდება ინგლისის საგარეო პოლიტიკის სრული გადასინჯვა. ახალი პოლიტიკის პირველ ელემენტს წარმოადგენს შემდეგი დებულება: „შეუძლებელია რაიმე შემდგომი მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასთან რომელ საკითხზედაც უნდა იყოს". ინგლისის მთავრობა ჰფიქრობს, რომ გერმანიის შემდგომი გეგმაა ხელთიგდოს რუმინეთის ნედლეული და შეიერთოს პოლონეთის კორიდორი და კლაიპედის (მემელის) ოლქი.

# რეიტერის სააგენტოს ცნობა

**ლონდონი**, 19 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰალიფაქსს გუშინ საფრანგეთის, ამერიკისა და გერმანიის ელჩებთან, აგრეთვე სსრ კავშირის ლონდონელ სრულუფლებიან წარმომადგენელთან საუბარი ჰქონდა გერმანიის მიერ რუმინეთისათვის გაგზავნილი ულტიმატუმის თაობაზე.

როგორც ჰფიქრობენ, კაბინეტის გუშინდელ სხდომაზე განიხილეს საკითხი პოზიციისა, რომელსაც ახლა დაადგება ინგლისი, მიიღებს რა მხედველობაში ინფორმაციას, რომელიც ჰალიფაქსმა სახელმწიფოთა ელჩებთან საუბრის შედეგად მიიღო.

# მოღალატეები მადრიდის ჩაბარებას ამზადებენ

**პარიზი**, 19 მარტი (საკდესი). მადრიდიდან მიღებული ცნობით, სოციალისტმა ბესტეიროომ, რომელიც ეგრეთწოდებული „თავდაცვის ნაციონალური საბჭოს" საგარეო საქმეთა მრჩევლის როლში გამოდის, გენერალ ფრანკოს მთავრობას გაუგზავნა რადიოდეპეშა, სადაც წინადადებას აძლევს მას შეუდგეს „მოლაპარაკებას ზავის შესახებ".

## უკანასკნელი ცნობები

# უცხოეთის პრესა საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანიისათვის გაგზავნილი საპასუხო ნოტის შესახებ

## საფრანგეთი

**პარიზი**, 20 მარტი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის გამო საბჭოთა მთავრობის მიერ გაგზავნილმა ნოტამ უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზე. ნოტის ტექსტი გამოაქვეყნა საფრანგეთის ყველა დიდმა გაზეთმა. გაზეთები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა ნოტის ენერგიულ კილოს. მთავრობის წრეებთან ახლოს მდგომი „პტი პარიზიენი" აღნიშნავს, რომ „საბჭოთა მთავრობის ნოტა დასაბუთებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტებით".

## ინგლისი

**ლონდონი**, 20 მარტი (საკდესი). ინგლისის გაზეთების უმეტესობა ბეჭდავს გერმანიისათვის გაგზავნილი საბჭოთა ნოტის სრულ ტექსტს. ისეთი გაზეთებიც კი, როგორიცაა „დეილი ექსპრესი" და „დეილი მეილი", რომლებიც საბჭოთა დოკუმენტებს ჩვეულებრივ მდუმარებით უვლიან გვერდს, ბეჭდავენ დიდ ამონაწერებს ამ ნოტიდან, რომელიც გადასცეს მათ ბრიტიშ იუნაიტედ პრესისა და რეიტერის სააგენტოების მოსკოველმა კორესპონდენტებმა.

# როგორ მოაწერეს ხელი ჰიტლერ-გახას „შეთანხმებას"

**ლონდონი**, 20 მარტი (საკდესი). კონსერვატიულ გაზეთ „დეილი-ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" დიპლომატიური მიმომხილველი იმოწმებს რა მის მიერ სრულიად სარწმუნო წყაროდან მიღებულ ცნობებს, იძლევა იმ პირობათა შემდეგ აღწერილობას, რა პირობებშიაც აიძულეს გახა და ხვალკოვსკი მოეწერათ ხელი დოკუმენტზე გერმანიისათვის ჩეხოსლოვაკიის სრული დამორჩილების შესახებ. ბერლინში ჩასვლისთანავე, სწერს მიმომხილველი, გახა და ხვალკოვსკი იხმეს ჰიტლერთან, სადაც იყვნენ აგრეთვე გერინგი და რიბენტროპი. ჰიტლერმა უსიტყვოდ გადასცა მათ იმ დოკუმენტის საბოლოო ტექსტი, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ხელს იღებს მთელს თავის რწმუნებებზე და აბარებს მათ გერმანიას. ჰიტლერმა განუცხადა მათ, რომ ახლა მოლაპარაკების დრო არ არის და რომ ჩეხებმა უსიტყვოდ უნდა მიიღონ გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება. შემდეგ ჰიტლერმა განაცხადა, რომ პრაღა ოკუპირებული იქნება გერმანიის ჯარის მიერ ხვალ დილისათვის, და ყველა, ვინც შეეცდება წინააღმდეგობის გაწევას, გასრესილი იქნება. ამის შემდეგ ჰიტლერმა ხელი მოაწერა დოკუმენტს და გავიდა კაბინეტიდან. გახამ და ხვალკოვსკიმ განაცხადეს, რომ მათ არა აქვთ უფლება ხელი მოაწერონ ასეთ დოკუმენტს, იმიტომ რომ არა აქვთ თავიანთი ხალხის თანხმობა. მაგრამ გერინგი და რიბენტროპი ყურს არ უგდებდნენ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა მოსაზრებებს, პირდაპირ ძალით სჩრიდნენ მათ ხელში კალამს და აიძულებდნენ ხელი მოეწერათ დოკუმენტისათვის. ამავე დროს გერინგი დაემუქრა, რომ, თუ გახა ხელს არ მოაწერდა დოკუმენტს, უახლოეს საათებში პრაღას მოელოდა გამანადგურებელი ბომბარდირება ჰაერიდან. გერინგმა განაცხადა—800 ყუმბარმტყორცნი სავსებით მზად არის ბრძოლისათვის და მხოლოდ ბრძანებას ელის.

სწორედ ასეთ პირობებში მოაწერეს ხელი სამარცხვინო „შეთანხმებას".

# „მათი ამბავი"

გუშინ, მარჯანიშვილის სახ. თეატრმა მორიგ პრემიერად უჩვენა მაყურებელს **ვ. გაბესკირიას** პიესა — „მათი ამბავი".

სპექტაკლი, რომლის დადგმა ეკუთვნის **რეჟ. ვ. ყუშიტაშვილს** (მხატვრები—**ი. და დ. გაბაშვილები**, მუსიკა—**ა. მაჭავარიანის**), წარმატებით ჩატარდა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ—რესპ. დამს. არტისტი, ორდენოსანი **ა. ჟორჟოლიანი**, რესპ. დამს. არტისტები—**ვ. ანჯაფარიძე** და **შ. გომელაური**, მსახიობები—**ს. ზაქარიაძე**, **მ. ქორელი**, **მ. მგელაძე**, **გ. გამრეკელი** და **ი. გვინჩიძე**.

აუდიტორია გულთბილად შეხვდა ავტორს, პრემიერის დამდგმელთ და მსახიობებს.

# სასკოლო არდადეგები

საქართველოს განსახკომის განმარტებით დაწყებითს, არასრულ და საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში საგაზაფხულო არდადეგები დაიწყო 20 მარტს გაკვეთილების შემდეგ, ხოლო მეცადინეობა განახლდება 27 მარტს.

# ცვლილება მატარებლების მიმოსვლაში

ა.-კ. რკინიგზის სამმართველო იუწყება, რომ ა.-წ. 21 მარტის 18 საათიდან იცვლება სადგურ თბილისიდან სახალხო მატარებლების გასვლის დრო:

**მატარებელი № 44 თბილისი-ბათუმი** გავა 23 საათსა და 40 წუთზე, **მატარებელი № 50 თბილისი-ქუთაისი**—0 საათსა და 46 წუთზე, **მატარებელი № 52 თბილისი-ფოთი**—22 საათსა და 35 წუთზე, **მატარებელი № 76 თბილისი-სოხუმი**—20 საათსა და 43 წუთზე, **მატ. № 104—თბილისი-კასპი**—13 საათსა და 05 წუთზე და **მატ. № 102 თბილისი-გორი**—14 საათსა და 08 წუთზე.

მატარებლების გასვლის დრო მოსკოვისაა, რომელიც თბილისის დროს ერთი საათით ჩამორჩება.

**22 მარტს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ გ. ხაჩაპურიძის ფასიანი ლექცია რუსულ ენაზე. თემა:**

**„საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში".**

**შესვლა 1 მანეთი. ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში. რუსთაველის პროსპექტი № 21.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 1719